პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი, № 301 (13117) | შაბათი, 26 დეკემბერი, 1964 წ. | ფასი 2 კაპ.

გუშინ, 25 დეკემბერს, თბილისში მუშაობას შეუდგა საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია.



სესიამ მოისმინა მოხსენებები საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ. შემდეგ დაიწყო კამათი მოხსენებათა გამო.

თბილისი. 1964 წლის 25 დეკემბერი. საქართველოს სსრ მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის სხდომა. დეპუტატები ისმენენ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენებას.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა

საბჭოთა საქართველოს ახალი მიჯნები

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია

კიდევ რამდენიმე დღე, და დადგება ახალი წელი, შვიდწლედის უკანასკნელი წელი. შესანიშნავი პერსპექტივები, წინსვლის ახალი მიჯნები დაუსახა საბჭოთა ხალხს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა. 1965 წლის გეგმის ციფრებსა და დავალებებში, ბიუჯეტში ახალი ძალით გამოვლინდა კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარებისათვის, მისი ძლიერების განმტკიცებისათვის, მისი სიმდიდრის გაძლიერებისათვის, საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ოქტომბრისა და ნოემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებმა ახალი უდიდესი შესაძლებლობანი დასახეს მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის შემდგომი განვითარებისათვის, კომუნისტურ მშენებლობაში, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში, დიდმნიშვნელოვან ამოცანათა გადაწყვეტაში მათი აქტიური მონაწილეობისათვის.

საქართველოს მშრომელები, ისევე, როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, უდიდესი აღფრთოვანებითა და მხურვალე მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებებსა და სესიის გადაწყვეტილებებს. რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში დიდი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა. ყველა კუთხის მშრომელები უპატაკებენ შრომითს გამარჯვებებს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრწველობამ ვადამდე. 23 დეკემბრისათვის, შეასრულა საერთო პროდუქციის წარმოებისა და ისეთ უმნიშვნელოვანეს სახეობათა ნაწარმის გამოშვების წლიური გეგმა, როგორიც არის თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, ფოლადის მილები, მარგანეცისა და ტყვია-თუთიის მადანი, ქვანახშირი და სხვ.

შესანიშნავ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა, სოფლის მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებმა.

მაგრამ საბჭოთა ადამიანები როდი სჯერდებიან მიღწეულს, მტკიცედ იბრძვიან ახალი მწვერვალების, ახალი მიჯნების მიღწევისათვის.

სწორედ ასეთი მისწრაფებით, ასეთი გადაწყვეტილებით — თავიანთი წვლილი შეიტანონ ჩვენს ქეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უსწრაფესად შექმნის საქმეში — მოვიდნენ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა რჩეულები. 25 დეკემბერს ჩვენი რესპუბლიკის სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს — უმაღლესი საბჭოს სხდომაზე შეიკრიბნენ ჩვენი ხალხის საუკეთესო შვილები, რომლებმაც თავიანთი თავდადებული შრომით, კომუნიზმის საქმისადმი ერთგულებით მოიპოვეს საყოველთაო ნდობა და პატივისცემა.

25 დეკემბერს დილის 10 საათზე გაიხსნა საქართველოს სსრ VI მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის პირველი სხდომა.

თავმჯდომარის მაგიდას უსხედან საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი რ. რ. დვალი, თავმჯდომარის მოადგილეები — დეპუტატები ხ. ხ. ბღაძბა, ვ. ბ. ბულუმბეოვი, ლ. ო. ლეონიძე, ე. ა. სალუქვაძე.

მთავრობის ლოჟებში არიან ამხანაგები ბ. ა. ბეგეშვილი, მ. ი. ბუჯაკა, ვ. პ. მეკვანაძე, პ. ა. როდიონოვი, დ. ბ. სტურუა, ა. ტ. სტუჩენკო, შ. ი. ჰანუყვაძე, ბ. დ. ჯაფარიძე, ბ. ი. ჩოგოვაძე, რ. ი. ფრუნიძე, ო. ე. ჩერქეზია, ა. ნ. ინაური, შ. ა. დოლიძე, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, საქართველოს სსრ მთავრობის წევრები.

სესია გახსნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, დეპუტატმა რ. რ. დვალმა.

უმაღლესმა საბჭომ მოისმინა სამანდატო კომისიის თავმჯდომარის, დეპუტატ ე. ა. შეკარდენაძის მოხსენება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს იმ დეპუტატის რწმუნებათა შემოწმების შესახებ, რომელიც აირჩიეს გამოცლებული დეპუტატის ნაცვლად.

საქართველოს სსრ უმაღლესმა საბჭომ დაადგინა:

„დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ა. ა. როდიონოვის რწმუნებანი, რომელიც 1954 წლის 5 ივლისს აირჩიეს ქ. ტყიბულის ლენინის № 249 საარჩევნო ოლქში“.

სიტყვა ეძლევა დეპუტატ შ. ა. ფირცხალავას. მას წინადადება შეაქვს დამტკიცდეს სესიის შემდეგი დღის წესრიგი:

1. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმა. საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულება. საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

3. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსისა და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის შესახებ. საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცება. საკითხი შეაქვს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესიის დღის წესრიგი და მუშაობის რეგლამენტი დამტკიცდა.

მოხსენება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა ე. მ. ჯაფარიძემ.

მოხსენება საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრმა, დეპუტატმა ბ. ა. ჩხეიძემ.

საბიუჯეტო კომისიის თანამხლებენა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ, საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, დეპუტატმა დ. ვ. გელაშვილმა.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ დაიწყო განხილვა მოხსენებებისა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ: აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლ. მ. დვალიშვილი, დეპუტატები ნ. ა. ფშანია (ორჯონიკიძის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ხ. კ. ალბა (აჭანრის საარჩევნო ოლქი, გუდაუთის რაიონი).

ამით დამთავრდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის დილის სხდომა. (საქდესი).

საღამოს სხდომაზე, რომელსაც თავმჯდომარეობდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე დეპუტატი ე. ა. სალუქვაძე, გრძელდებოდა განხილვა მოხსენებებისა: საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის, საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ.

კამათში მონაწილეობდნენ დეპუტატები: ვ. ვ. ანტონოვი (ვაკეა ფშაველის საარჩევნო ოლქი, ქ. ქუთაისი), ს. ა. შარაძეშილი (მეტალურგთა საარჩევნო ოლქი, ქ. რუსთავი), ვ. ს. ბელაშვილი (ლენინგორის საარჩევნო ოლქი, ლენინგორის რაიონი), ო. ვ. მუშაკიძანი (რუსთაველის საარჩევნო ოლქი, ქ. თბილისი), ბ. ვ. აზაურაშვილი (ზაზიანის საარჩევნო ოლქი, ბურჯანალის რაიონი), ვ. ი. პაპიაშვილი (კასპის საარჩევნო ოლქი, კასპის რაიონი), ო. ბ. ალვარანი (სასოფლო საარჩევნო ოლქი, ახალციხის რაიონი), მ. ბ. ფეინბერგი (ინგირის საარჩევნო ოლქი, ზუგდიდის რაიონი).

ორატორებმა ერთსულოვნად აღნიშნეს, რომ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შემოტანილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები სავსებით შეესაბამება ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარების, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ინტერესებს. საქმიანად, დიდი დაინტერესებით, როგორც ნამდვილი გამგებლები თავიანთი ბედისა, განიხილავდნენ ხალხის რჩეულნი რესპუბლიკის შემდგომი განვითარების გზებს, იმ ფრიად მნიშვნელოვან ამოცანებს, რომლებიც საქართველოს მშრომელებს აქვთ დასახული შვიდწლედის ბოლო წელს.

რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტებს რომ ახასიათებდნენ, ორატორები ამასთანავე აკრიტიკებდნენ იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც ჯერ კიდევ არის დაგეგმვაში, მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების ხარჯვაში, სახავდნენ წინადადებებს, რომელთა განხორციელება დაარჩარებს სოციალისტური წარმოების ზრდის ტემპს, აამაღლებს სახალხო მეურნეობის ტექნიკურ დონეს და უზრუნველყოფს პროდუქციის ხარისხის სისტემატურ გაუმჯობესებას, სახელმწიფო ასიგნებათა გონივრულ ხარჯვას.

ყველა გამოსვლას წითელ ზოლად გასდევდა აზრი, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმისა და ბიუჯეტის პროექტების დამახასიათებელი თავისებურებაა მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და, კულტურული დონის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფა.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესიის საღამოს სხდომა დახურულად ცხადდება.

26 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მეოთხე სესია განაგრძობს მუშაობას. (საქდესი).

პარტიული კონფერენციები

ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში ახლა მეტად პასუხსაგები პერიოდია. ამ დღეებში 62 სასოფლო რაიონში და სამ საქალაქო ორგანიზაციაში, რომლებიც აერთიანებენ აგრეთვე სოფლის პირველადს პარტორგანიზაციებს, გაიმართება პარტიული კონფერენციები.

ამ პასუხსაგები კამპანიის მნიშვნელობა კი ამჟამად განსაკუთრებით დიდია. წარიმართება იგი სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის ბრძოლის ნიშნით, იმის ღრმა რწმენით, რომ ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპით აგებულ პარტიულ ორგანიზაციათა აღდგენა ხელს შეუწყობს პარტიისა და მისი ადგილობრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელი როლის გაძლიერებას კომუნისტურ მშენებლობაში, თვითეული რაიონის სამეურნეო და კულტურული განვითარების ამოცანათა უფრო წარმატებით გადაჭრას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია:

„საჭიროდ იქნას მიჩნეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების რეორგანიზაცია პარტიის რაიონულ კომიტეტებად, სადაც თავმოყრილი იქნება ხელმძღვანელობა ყველა პარტიული ორგანიზაციისადმი, მათ შორის მოცემული რაიონის ტერიტორიაზე მდებარე სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობის პარტიული ორგანიზაციებისა“.

და სწორედ ახლა, როცა პრაქტიკულად ხორციელდება პარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებანი, რომლებიც მოწმობენ ჩვენი პარტიის ძალას, მის ლენინურ მიდგომას ცხოვრების ანალიზისადმი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად მაღალ დონეზე წარმართავთ ყოველი პარტიული კონფერენციის მუშაობას.

დელეგატები თავიანთ კონფერენციებზე ისაუბრებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შედეგებზე, ხოლო ზოგან ერთი წლის მუშაობის შედეგებსა და იაროსლავი პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე. აქაც, რა თქმა უნდა, მთავარი უურადღება მიექცევა ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე პრაქტიკული ამოცანების გადაჭრას. საჭიროა ამ საკითხების განხილვა ყველგან მოეწყოს მაღალი იდეურობის, კოლექტიური შემოქმედების, პრინციპულობისა და საქმიანობის ატმოსფეროში.

უკანასკნელ ორ წელიწადში პარტიული და საბჭოთა ორგანოების გაუოფის შედეგად სერიოზულად შესუსტდა რაიონული რგოლი: პარტიული ორგანიზაციების ტერიტორიულ-საწარმოო პრინციპების მიხედვით აგების შეცვლა ეგრეთწოდებული საწარმოო პრინციპით ობიექტურად იწვევდა პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ფუნქციათა, უფლებათა და მოვალეობათა აღრევას, იწვევდა იმას, რომ პარტიული კომიტეტები სამეურნეო ორგანოების მაგიერობას ეწეოდნენ. ამასთან რაიონი, როგორც ადმინისტრაციულ-სამეურნეო ერთეული, პარტიული და სახელმწიფო თვალსაზრისით, ნაწილებად გაწყვეტილი აღმოჩნდა.

სწორედ ამიტომ ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გულდასმით აწონ-დაწონა შექმნილი მდგომარეობა, გაითვალისწინა ადგილობრივი მუშაკების, კომუნისტების, ყველა მშრომელის აზრი და დასკვნა, რომ საჭიროა დაუბრუნდეთ პარტიული ორგანიზაციების და მათი ხელმძღვანელი ორგანოების ტერიტორიულ-საწარმოო ნიშნით აგების პრინციპს.

აღადგენს რა სკკპ წესდებით გათვალისწინებულ პარტიული ორგანიზაციების აგების პრინციპს, პარტია ღრმად არის დარწმუნებული, რომ მისგან გამომდინარე ორგანიზაციული ფორმები არ ამოწურულა და საჭიროების შეესაბამება თანამედროვე პირობებსა და ამოცანებს. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ადარ სრულვყოფდეთ ამ ფორმებს საც, პრაქტიკით შემოწმებულ საფუძველზე. პარტიას, მის ცენტრალურ კომიტეტს თავიანთ მოეწყობად მიაჩნიათ განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სრულყოფისათვის და აკეთონ ეს წინადახედულად, უფუსფუსოდ და აუჩქარებლად.

ისევე როგორც კომუნისტური მშენებლობის მთელ გზაზე, ამჟამადაც პარტია თავისი ადგილობრივი ორგანოების მთელ ყურადღებას მიმართავს ეკონომიკის შემდგომი და განუხრელი აღმავლობისათვის. მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება იმის აუცილებელი საფუძველია, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერება, გაუმჯობესდეს საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობა. ამიტომ, ბუნებრივია, პარტიულ კონფერენციებზეც მთავარი ადგილი დათმობა ეკონომიური და, კულტურული მშენებლობის საკითხებს.

როგორც ცნობილია, ახლანდელ კონფერენციებზე საანგარიშო მოხსენებები არ იქნება. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ დელეგატები შემოიფარგლებიან მხოლოდ არჩევნებით. კონფერენციებზე განხილულ იქნება პარტორგანიზაციების მუშაობის უმნიშვნელოვანესი საკითხები. თვით ცხოვრება კი ბევრ ახალ საკითხს აყენებს.

უწინარეს ყოვლისა განსაკუთრებული უურადღება უნდა მიექცეს პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლების საკითხებს. ისინი, როგორც პარტიის ძირითადი რგოლები, მოღვაწეობენ ყოველ საწარმოში, მშენებლობაზე, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, დაწესებულებაში, სასწავლებელში, სწორედ იქ, სადაც უშუალოდ იქმნება მატერიალური ფასეულობა. სულიერი სიმდიდრე, იქედებიან და იერთობიან კადრები.

სამრეწველო საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების მოვალეობა ის არის, რომ სწორად გადაწყვიტონ ძირეული საწარმოო პრობლემები. ამ პრობლემათაგან მთავარია საგეგმო დავალებების შესრულება, შრომის ნაყოფიერებისა და გამოშვებული პროდუქციის ხარისხის ამაღლება. პარტიული ორგანიზაციების, კომუნისტების გადაუდებელი საზრუნავი უნდა იყოს შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვა, ტექნიკური პროგრესის დაჩქარება.

მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგანან სოფლის მეურნეობის მუშაკები. თვითეული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის პარტიული ორგანიზაცია მოწოდებულია სათავეში ედგეს ამ ამოცანების გადაწყვეტას. სწორედ ახლა, როცა უკვე იწყება ახალი სასოფლო-სამეურნეო წელი, მთავარი მნიშვნელობა ენიჭება იმას, თუ რამდენად სწორად იქნება შემუშავებული სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაციის ღონისძიებანი. მეცნიერების მიღწევებისა და ადგილობრივი გამოცდილების გათვალისწინებით ყოველმხრივ უნდა გავაუმჯობესოთ მიწათმოქმედების კულტურა, მოვამზადოთ მანქანები, თესლი, სასუქები. პარტიული ორგანიზაციების განსაკუთრებულ ზრუნვას მოითხოვს პირუტყვის ნორმალურ გამოზამთრებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი.

პარტიული კონფერენციების დელეგატთა სკკ-ბაასის საგანი უნდა გახდეს ყველა ორგანიზაციისა და უწყების, რომლებიც კი დაკავშირებული არიან მშრომელთა საყოფაცხოვრებო და კულტურულ მომსახურებასთან, მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები.

განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს იდეოლოგიური, აღმზრდელობით ღონისძიებათა შემუშავება, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების სრულყოფა, ზრუნვა ადამიანებისათვის, მათი კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის.

მომწიფებული ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის საფასე კი ის არის, რომ კომუნისტური პარტია ემყარება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, თავისი ყრილობების გადაწყვეტილებებს, სკკპ პროგრამისა და წესდების დებულებებს. პარტიის ძირითად დოკუმენტებში მოცემულია ნათელი და ზუსტი მითითებანი, თუ რა მიმართულებით და როგორ უნდა მოქმედებდნენ პარტიული ორგანოები, პარტიის ყველა ორგანიზაცია. სწორედ ამით უნდა იხელმძღვანელონ ახლადარჩეულმა პარტიულმა კომიტეტებმაც.

ყოველ კონფერენციაზე ახლადარჩეულ პარტიულ კომიტეტს უნდა მიეცეს სწორი განაწესები იმ მხრივ, რომ პარტიული ხელმძღვანელობის არსს შეადგენს პოლიტიკური ხელმძღვანელობა და არა ადმინისტრაციული, რომ პოლიტიკური ხელმძღვანელობა გულისხმობს ფართო მასების მონაწილეობით შეიმუშაო სწორი პოლიტიკა, დამყარებული მარქსისტულ-ლენინურ მეცნიერებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიური, სოციალ-პოლიტიკური და იდეოლოგიური პროცესების ღრმად შესწავლაზე. პარტიულმა კომიტეტებმა არ უნდა იკისრონ უშუალო მართვის ფუნქციები. ისინი აერთიანებენ და წარმართავენ ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ღონისძიებებს კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადასაჭრელად, ზრუნავენ კადრების შერჩევისა და აღზრდისათვის, კონტროლს უწევენ გადაწყვეტილებათა შესრულებას, ავითარებენ მშრომელთა შემოქმედებითს აქტივობასა და ინიციატივას.

დელეგატებმა კრიტიკის მთელი ჭარცეცლი უნდა მიმართონ იმათ წინააღმდეგ, ვინც ჯერ კიდევ გატაცებულია პარადული ხმაურითა და ტრაბახით, ჭალალდების თხზვით და სახსდომო ფუსფუსით. კონფერენციები უნდა წარვმართოთ პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო კადრებისადმი მკაცრი მომთხოვნელობით, დაკისრებული მოვალეობისათვის მათი პასუხისმგებლობის ამაღლების ნიშნით.

კონფერენციების მონაწილენი დიდი სიფრთხილითა და გულმოდგინებით უნდა მოეკიდნენ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების არჩევას. ჩვენ მტკიცედ უნდა დავიცვათ სკკპ წესდების მოთხოვნა ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების სისტემატური განახლებისა და ხელმძღვანელობის მონაცვლეობის შესახებ, პარტიულ კომიტეტებსა და ბიუროებში, სარევიზიო კომისიებში გაბედულად უნდა ავიჩიოთ ახალგაზრდა კადრები, ქალები.

პარტიული კონფერენციების მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე წარმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახლადარჩეული პარტიული კომიტეტების, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მომავალი საქმიანობისათვის, ხელს შეუწყობს იმას, რომ ყოველი პარტიული ორგანო უფრო მებრძოლურად, თვისი მოქმედების უფრო ნათელი გეგმით აქტიურად რაზმავდეს რესპუბლიკის მშრომელებს კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე წარმატებათა მოსაპოვებლად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია თურქეთს გაემგზავრება

როგორც უკვე ვიუწყებოდით, თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ საპასუხო ვიზიტად მიიწვია თურქეთში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭო დეეთანხმა თურქეთის პარლამენტის მიწვევას და 4 იანვარს მოსკოვიდან ანკარაში გაემგზავრება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დელეგაცია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატები თ. ახუნოვა, ვ. ი. გაგანოვი, მ. ა. ჰუსეინოვი, ა. ე. დანჩენკო, გ. დ ჯავახიშვილი ი. მ. კრატენკო, ვ. პ. რუბენი, ტ. უ. უსუბალიევი, პ ნ. ფედოსეევი. დელეგაციის მრჩევლად მიდის სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ს. გ. ლაპინი.

საახალწლო ნოგათი

უპასუხისმგებლობის სამშობლოს

△ მაიაკოვსკის რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელები ახალი წარმატებებით ხვდებიან ახალ სამეურნეო წელს. მათ კარგად იშრომეს 1964 წელს. ამის შედეგად 20 დეკემბრისათვის ხორცის მიყიდვის წლიური გეგმა შესრულებულია 188,1 პროცენტით. სახელმწიფოს მიეყიდა 875 ათასი ცალი კვერცხი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 850 ათასი ცალისა, დამზადებულია 3.100 ტონა ხილი, ანუ გეგმის 101 პროცენტი.

მაიაკოვსკელებმა საზოგადოებრივ მეურნეობებში ხეხილის გაშენების დავალება 102 პროცენტით შეასრულეს, დაფნის გაშენებისა — 130 პროცენტით. წელს საზოგადოებრივი მეურნეობების ზვრებს შეემატა 370 ჰექტარი ახალი ვენახი.

▲ წალენჯიხა. (საკ. კორ.). რაიონის მშრომელებმა გადაჭარბებით შეასრულეს ხორცის, რძისა და კვერცხის დამზადების წლიური გეგმები. ნაცვლად 380 ტონისა სახელმწიფოს მიეყიდა 396 ტონა ხორცი.

▲ ქობულეთის რაიონის სოფელ მახვილაურის მეცხრეტესეებმა წარმატებით შეასრულეს ნარინჯოვანთა დამზადების წლიური გეგმა. სახელმწიფოს მიეყიდეს 151 ტონა მანდარინი, 16 ტონა ფორთოხალი და 18 ათასი ცალი ლიმონი.

გ. გაბაიძე,
სოფლკორი.

დროს გაუსწრეს

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის მრავალრიცხოვანმა კოლექტივმა თხუთმეტი დღით ადრე შეასრულა შვიდწლედის მეექვსე წლის საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ცხობაში, რომელსაც ხელს აწერენ კომბინატის დირექტორი **ლ. ჩიქვანია,** პარტბიუროს მდივანი **უ. დათუნაშვილი,** საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე **ტ. ილურიძე,** კომკავშირის კომიტეტის მდივანი **დ. ქვლივიძე,** ნათქვამია: წელს ავითვისეთ 32 ახალი მოდელის სატრიკოტაჟო ნაწარმის წარმოება, დაეზოგეთ 79 ტონა ბამბა, 384 ტონა პირობითი სათბობი. შრომის ნაყოფიერება გავზარდეთ 2 პროცენტით. საკმაოდ ავამაღლეთ პროდუქციის ხარისხი. პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მივიღეთ 289 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება.

ახლა ჩვენი კომბინატის კოლექტივი იბრძვის, რათა წლის დარჩენილ დღეებში დამატებით მისცეა სახელმწიფოს 800 ათასი მანეთის პროდუქცია.

შეასრულეს წლიური გეგმა

როგორც საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მემვიდე „საქმახტმშენის“ ტრესტის მმართველი შ. გარდაფხაძე. პარტორგანიზაციის მდივანი ვ. ფაშალიშვილი და ადგილკომის თავმჯდომარე ვ. ჭირაქაძე გვატყობინებენ, ტრესტის კოლექტივმა 23 დეკემბრისათვის შეასრულა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წლიური გეგმა.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის შესახებ

საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო!

ახლახან მუშაობა დამთავრა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ, რომელმაც განიხილა და მიიღო კანონები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ.

გეგმისა და ბიუჯეტის ძირითად მიმართულებებში ასახულია სოციალისტური წარმოების, ეკონომიკისა და თავდაცვისუნარიანობის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლება და ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის ზრდა.

1965 წლის გეგმის მთავარი ნიშანია: ეროვნული შემოსავლის მნიშვნელოვანი გადიდება და მის ბაზაზე საბჭოთა ხალხის მატერიალურ-კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება, წარმოების განვითარების ტემპის რამდენადმე დაჩქარება და წარმოების საშუალებათა წარმოებისა და მოხმარების საგნების წარმოების განვითარების ტემპების დაახლოება. სამრეწველო განვითარების მზარდ ტემპებს შეინარჩუნებს ქიმიური, მეტალურგიული და სათბობის მრეწველობა.

კვლავ ძირითად ამოცანად რჩება სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი განვითარება. 1965 წლის გეგმაში გათვალისწინებული ღონისძიებანი ხელს შეუწყობენ სოფლის მეურნეობაში არსებულ ჩამორჩენათა დაძლევას.

დასახულია კაპიტალური მშენებლობის დიდი პროგრამა. როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს ქვეყანაში კაპიტალური დაბანდებების საერთო მოცულობა გაიზრდება 11,3 პროცენტით, ხოლო ძირითადი ფონდების ამოქმედება — 11,8 პროცენტით.

1965 წლის გეგმა ითვალისწინებს მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდას. სსრ კავშირში ეს ზრდა საშუალოდ ერთ კაცზე გათვალისწინებულია 1964 წელთან შედარებით 7,3 პროცენტით, რაც ორჯერ აღემატება 1959-1964 წლების საშუალო წლიურ მატებას. მუშა-მოსამსახურეების საშუალო ხელფასი გაიზრდება 4,5 პროცენტით ნაცვლად წინა წლის საშუალოდ 2,4 პროცენტისა. მნიშვნელოვნად გაიზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი.

ამხანაგო დეპუტატებო!

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შემოაქვს უმაღლეს საბჭოში განსახილველად საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის სახელმწიფო გეგმის პროექტი.

ნება მომეცით, ვიდრე გეგმის პროექტის შესახებ მოგახსენებდეთ, მოკლედ შეეხო მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის გეგმის შესრულების მიმდინარეობას.

1964 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესრულების წინასწარი მონაცემების მიხედვით, ჩვენი რესპუბლიკის მეურნეობა ვითარდება დამტკიცებულ საგეგმო დავალებათა შესაბამისად. სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ საერთო პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა 23 დეკემბრისათვის შეასრულა და რესპუბლიკის მრეწველობაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა გადაჭარბებით იქნება შესრულებული. წარსულ წელთან შედარებით სამრეწველო პროდუქცია გაიზრდება 3 პროცენტით. მიმდინარე წელს წარმატებით სრულდება ძირითად საზეობათა პროდუქციის გამოშვების გეგმა.

მიმდინარე წელს გადაჭარბებით შესრულდება თუჯის, ფოლადის, ნაგლინის, ფოლადის მილების წარმოების, მარგანეცისა და ქვანახშირის ამოღების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ცემენტის, წინდებისა და ტრიკოტაჟის გამოშვების დავალებანი.

მრეწველობის განვითარების ძირითადი მიმართულების შესაბამისად საშუალო რესპუბლიკურზე უფრო სწრაფი ტემპით ვითარდებიან: ქიმიური მრეწველობა, ელექტროენერგეტიკული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა და ა. შ.

მიმდინარე წელს გარკვეულ წარმატებებს მიაღწიეს ჩვენი სოფლის მეურნეობის მშრომელებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს ჩაის ფოთლის წარმოების გეგმა; მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩაბარეს 184 ათასი ტონა ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი, ასევე გადაჭარბებით იქნა შესრულებული სახელმწიფოსათვის აბრეშუმის პარკის მიყიდვის გეგმაც. წარმატებით მიმდინარეობს კარტოფილის, ხილის და სხვა სახის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამზადების გეგმის შესრულება.

1964 წლის 11 თვეში სახელმწიფო კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა 5,8 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამის მაჩვენებელს. მიმდინარე წელს საქმაწარმოებაციოდ გადაეცა: კოლომიდური გოგირდის საცდელი სამრეწველო დანადგარი რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ორი ელექტროლუმელი ზესტაფონის ფეროშენადნობის ქარხანაში, საბურავშემკეთებელი ქარხანა საგარეჯოსა და გუდაუთაში, თბილისის სახელმწიფო რაიონული თბოელექტროსადგურის მეორე ბლოკი 150 ათასი კილოვატის სიმძლავრისა, ელექტროგადამცემი ხაზები და ქვესადგურები, სოხუმის მაცივარი, ავტომატური ტელეფონის სადგური თბილისში, გომი-სარჩერე-ზესტაფონის საავტომობილო გზა, 20 ათასი თითისტარის საერთო სიმძლავრის სართავი დანადგარები, 162 ცალი საქსოი დაზგა, საკოლების შენობები 13,5 ათასი მოსწავლისათვის, 410 საავადმყოფო საწოლი, 590 ადგილი სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებებში.

სრულდება მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა. მიმდინარე წლის 11 თვეში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფმა სამრეწველო საწარმოებმა შრომის ნაყოფიერების გადიდების გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს.

გასულ წელთან შედარებით გაიზარდა სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონლბრუნვის მოცულობა. მიმდინარე წლის 11 თვეში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მოსახლეობას მიეყიდა 41 მილიონზე მეტი მანეთის სხვადასხვა სახის საქონელი. განსაკუთრებით გაიზარდა ისეთი სახის ყვების პროდუქტების გაყიდვა, როგორიც არის კარაქი, კვერცხი, შაქარი და ა. შ.

მნიშვნელოვნად გაფართოვდა სკოლების, სკოლამდელი ასაკის საბავშვო დაწესებულებების, საავადმყოფოების ქსელი, გაუმჯობესდა მოსახლეობის კომუნალური და საყოფაცხოვრებო მომსახურების დონე. მიმდინარე წლის 9 თვეში საექსპლოატაციოდ გადაეცა 216,9 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ზემოაღნიშნულ მიღწევებთან ერთად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის 1964 წლის გეგმის შესრულებაში გვაქვს არსებითი ნაკლოვანებანი. მთლიანად სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ მრეწველობაში გეგმის შესრულებისას მიმდინარე წლის 11 თვეში მის დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოების 18 პროცენტმა ვერ შეასრულა საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა.

სამრეწველო პროდუქციის წარმოებაში ძირითად ნაკლად ჯერ კიდევ რჩება პროდუქციის ასორტიმენტის შეზღუდულობა და ხარისხი.

არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული მსუბუქი და კვების მრეწველობის პროდუქციის დახარისხების, მარკირების, მხატვრული გაფორმების, შეფუთვისა და ტრანსპორტირების საქმე.

საფეიქრო მრეწველობაში დაბალია ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები, სისტემატურად ვერ სრულდება დანადგარების წარმადობის საგეგმო დავალებანი.

მრეწველობაში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის შესრულებისას საწარმოთა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეუსრულებია შრომის ნაყოფიერების ზრდის დავალება. ჯერ კიდევ აქვს ადგილი ხელფასის ფონდის არაკონრმიოერ ხარჯვას.

მნიშვნელოვანი ხარვეზები გვაქვს ისეთი გადამწყვეტი ეკონომიური მაჩვენებლის შესრულებაში, როგორიც არის სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. თვითღირებულების გადახარჯვა დაშვებულია: ქიმიის, მანქანათმშენებლობის, საშენი მასალების, საფეიქრო და ჩაის მრეწველობის საწარმოებში.

თვითღირებულების გაძვირება საგრძნობ წილად გამოწვეულია წუნდებული პროდუქციის გამოშვებით, აგრეთვე არასაწარმოო ხარჯების დაშვების შედეგად.

სოფლის მეურნეობაში ვერ სრულდება მთელი რიგი წამყვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების და სახელმწიფო დამზადების გეგმები. განსაკუთრებით ჩამორჩება მეცხოველეობა. არსებული ნაკლოვანებები გამოწვეულია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის დაბალი დონით. სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მოსახლეობის მატერიალური დაინტერესების პრინციპის არასრული გატარებით, აგრეთვე კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის როლის რამდენადმე შეუფასებლობით, როგორც ეს აღინიშნა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე.

მიმდინარე წლის 11 თვის განმავლობაში კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობის გეგმა შესრულებულია 81,7 პროცენტით. სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებისა — 88,4 პროცენტით. განსაკუთრებით ჩამორჩება საწარმოო დანიშნულების ობიექტების სამოქმედოდ გადაცემა. ზემოაღნიშნული მდგომარეობის გამო მიმდინარე წელს ვერ ამოქმედდება სინთეზური ბოჯკოს, ელექტროძრავების, რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოო გეგმით გათვალისწინებული სიმძლავრეები. საექსპლოატაციოდ ვერ გადაეცა ინერტული მასალების კარიერები, მაღალი ძაბვის მთელი რიგი ელექტროგადამცემი ხაზები და სხვ.

დიდი ნაკლოვანებები გვაქვს საცალო ვაჭრობაში. მეორე წელია, რაც ჩვენი რესპუბლიკა ვერ ასრულებს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გეგმებს. 1963 წელს სავაჭრო ორგანიზაციებმა დაკისრებული დავალებანი შეასრულეს 97,3 პროცენტით. მიმდინარე წელს გეგმის მოსალოდნელი შესრულება წინასწარი გაანგარიშებით 97,8 პროცენტს შეადგენს.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გეგმის შესრულება, განსაკუთრებით სოფლად.

გეხსენებათ, ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებასთან არის დაკავშირებული.

გადიდდება მოსახლეობის რეალური შემოსავალი. საგეგმო კომისიის გაანგარიშებით მიმდინარე წელთან შედარებით მოსახლეობის რეალური შემოსავლის ზრდა 1965 წელს 7,3 პროცენტს მიაღწევს.

თქვენ გადმოგეცათ 1965 წლის გეგმის მასალები, სადაც მაჩვენებლები შედარებულია იმ მაჩვენებლებთან, რომლებიც დამწყებტ ზომებს არ იღებენ შახტების მშენებლობის დასაჩქარებლად და გამოყოფილი თანხების ასათვისებლად.

მანქანათმშენებლო და ლითონდასამუშავებელი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა 1965 წელს გათვალისწინებულია 15 პროცენტით. მნიშვნელოვნად იზრდება ისეთი პროდუქციის წარმოება, როგორიც არის ელექტროშემდუღებელი მოწყობილობა, მსხვილი ელექტრომანქანები, იმწის ელექტროძრავები, დაბალი ძაბვის ელექტროაპარატურა, ელექტრომაგნიტური ტალანები, კაბელის ნაწარმი, ლითონსაბრელი ჩარხები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, კვების მრეწველობის ტექნოლოგიური მოწყობილობა და სხვ.

1965 წელს ათვისებულ იქნება მთელი რიგი ახალი სახის მანქანა-მოწყობილობის წარმოება.

საჭიროა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკაში გამოშვებული ზოგიერთი მანქანის ხარისხი ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია, მათი ტექნიკური მაჩვენებლები ჩამორჩებიან თანამედროვე მოთხოვნილების დონეს. ჯერ კიდევ ბევრი ნაკლი გვაქვს რესპუბლიკის მანქანათმშენებლო საწარმოებში საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების საქმეში.

1965 წლის გეგმა ითვალისწინებს საშენი მასალების მრეწველობის ზრდას 8,5 პროცენტით, რკინაბეტონის ასაწყობი კონსტრუქციებისა და დეტალებისა — 22,9 პროცენტით, საკედლე მასალისა — 20,5 პროცენტით, კრამიტისა — 10,5 პროცენტით. საშენი მასალების გათვალისწინებული წარმოება საშუალებას მოგვცემს ძირითადად დავაკმაყოფილოთ კაპიტალური მშენებლობის მოთხოვნილება და გავაუმჯობესოთ კოლმეურნეობების და მოსახლეობის საჭიროების დაკმაყოფილება.

ხე-ტყის, ქაღალდის და ხის დამამუშავებელი მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა გაიზრდება 12,8 პროცენტით, მათ შორის საკეტი საფუარის წარმოება იზრდება 36 პროცენტით, შეუბებული ფანერისა — 15,6 პროცენტით და ასე შემდეგ. მომავალ წელს მრეწველობის ამ დარგის განვითარებაზე დაიხარჯება 6 მილიონი მანეთი, რაც ძირითადად წარმართული იქნება ხე-ტყის დამამზადებელი და ხის დამამუშავებელი საწარმოების განვითარებაზე. დამთავრდება ინგურის ცელულოზა-ქაღალდის კომბინატის რეკონსტრუქცია.

მომავალ წელს წინა წლებთან შედარებით მეტი მანქანები, ნედლეული და მასალები იქნება გამოყოფილი სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გასაფართოებლად. შესამჩნევად გადიდდება ქიმიური ნედლეულის ფილი სხვადასხვა სახის ფართო მოხმარების საგნების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის წარმოებაში. გაფართოვდება სარეცხი მანქანების, ელექტროთეთრეულისა და სხვა საყოფაცხოვრებო ელექტრომოწყობილობის წარმოება და გაუჯობესდება მათი ხარისხი.

1965 წელს გამოშვებული იქნება: ყველა სახის ქსოვილი 88,45 მილიონი მეტრი, 4,25 მილიონი ცალი ზედა და 16 მილიონი ცალი თეთრეული ტრიკოტაჟი, 13,2 მილიონი წყვილი წინდის ნაწარმი, 18,6 მილიონი მანეთის სამკერვალო ნაწარმი (დამუშავების ღირებულებით), განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას და ასორტიმენტის გაფართოებას-გამდიდრებას. მაგალითად, ტრიკოტაჟის წარმოებაში ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ჯერჯერობით საკმაოდ ცოტა ფერადი ყალიბი ყოფილა. ეს ფერადი ყალიბი ბიუჯეტზე მყოფი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების კონტინგენტი 1965 წელს აყვანილ იქნება 84 ათას ბავშვამდე, რაც 6 ათასით აღემატება 1964 წლის რაოდენობას.

კაპიტალური მშენებლობა

1965 წლისათვის რესპუბლიკაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით განსაზღვრულია 431,5 მილიონი მანეთით, მათ შორის სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა — 223,4 მილიონი მანეთით.

კაპიტალურ დაბანდებათა საერთო მოცულობა 1964 წელთან შედარებით მომავალ წელს გაიზრდება 23,3 პროცენტით, ხოლო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა — 14,6 პროცენტით. მომავალ წელს კაპიტალურ დაბანდებათა ზრდის უფრო მაღალი ტემპებია დასახული: სოფლის მეურნეობაში (46,3 პროცენტი), შავ მეტალურგიაში (39 პროცენტი), ქვანახშირის მრეწველობაში (20 პროცენტი), მანქანათმშენებლობაში (45 პროცენტი) და ა. შ. მიმდინარე წელთან შედარებით ძირითადი ფონდების ამუშავება მნიშვნელოვნად გადიდდება და მნიშვნელოვნად შემცირდება დაუთავრებელ მშენებლობათა მოცულობა.

დეპუტატებს უნდა მოვახსენო, რომ კაპიტალური მშენებლობის ამ დიდი პროგრამის განხორციელება შეუძლებელია ამ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოუფხვრელად, რომლებიც ჯერ კიდევ გვაქვს ამ დარგში.

მშენებლობის სამინისტრომ მიმდინარე წლის 11 თვეში სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმა იმ ობიექტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა სახელმწიფო გეგმით, მხოლოდ 90,6 პროცენტით შეასრულა.

წლიდან წლამდე იზრდება დაუთავრებელი მშენებლობის ნაშთი, რაც იწვევს ობიექტების მშენებლობის ვადების გაჭიანურებას, მატერიალური და ფულადი რესურსების გაფანტვას.

რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციები პროექტების დამუშავებისას ჯერ კიდევ ხშირად უშვებენ შეცდომებსა და არასიზუსტეს, რის გამო მშენებლობის ვადები ჭიანურდება, მშენებლობა ძვირდება და ახალი ობიექტების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები ეცემა.

პროექტებში დაშვებული ბევრი შეცდომა შეიძლებოდა თავის დროზე გამოსწორებულიყო, სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოების, სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები მეტი პასუხისმგებლობით რომ მოკიდებოდნენ ტექნიკური დოკუმენტაციის ხარისხიანად შედგენისა და დამტკიცების საქმეს.

მშენებლობის სატატელო სიების დამტკიცების მიმდინარე წლის დეკემბრამდე არსებულ წესებს დეზორგანიზაცია შეაქვორა კაპიტალური მშენებლობის საქმეში, აუარებელ ინსტანციაში მრავალჯერადი შეთანხმება ძოითხოვდა დიდ დროსა და შრომას, ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს სწყვეტდა მათს ძირითად საქმიანობას და პირველი კვარტალის მშენებლობის გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი ხდებოდა.

დეპუტატებს უნდა მოვახსენო, რომ მშენებლობის სატატელო სიების დამტკიცების ეს წესი უკვე შეცვლილია საკავშირო მთავრობის დადგენილებით.

დაბალია კაპიტალური მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები.

სისტემატურად ვერ სრულდება მშენებლობაში მასალოვრიკ და შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაციის გეგმა. ზოგ მშენებლობაზე საამშენებლო ტექნიკა გამცდარია. მშენებლობის ობიექტებს დიდი რაოდენობით აკლიათ მუშახელი.

ბევრ რაიონში საავადმყოფოების, სკოლებისა და საწარმოების მშენებლობა ცუდად მიმდინარეობს იმის გამო, რომ მუშახელის ორგანიზებული შეგროვების გეგმებს მეტი წილი რაიონებში სისტემატურად ვერ ასრულებენ.

დაბალია სამშენებლო სამუშაოთა შესრულების ხარისხი.

კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულების მიმდინარეობის საკითხი, როგორც მოგეხსენებათ, სპეციალურად განხილია საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმმა, რომელმაც დასახა კონკრეტული ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

გეგმის წარმატებით შესრულებისათვის სამშენებლო ორგანიზაციებმა, სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებათა საფუძველზე, მკვეთრად უნდა გაუუმჯობესონ მუშაობა. ჩვენი ვალია მშენებლებისათვის ამ საქმეში ყოველგვარი დახმარების გაწევა.

მოსახლეობის ცხოვრების ღონის ამაღლება

წინასწარი გაანგარიშებით, რესპუბლიკის მოსახლეობის რეალური შემოსავალი მომავალ წელს ერთ მცხოვრებზე მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 7,3 პროცენტით და მეტად.

გასულ წლებში დიდი მუშაობა იქნა გაწეული მრეწველობის, მშენებლობისა, სოფლის მეურნეობისა და ტრანსპორტის სახელმწიფო საწარმოებში მომუშავეთა ხელფასის გადიდებისა და მოწესრიგებისათვის. მიმდინარე წელს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ მიიღო დადგენილება იმ დარგების მომუშავეთა ხელფასის მომატების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მოსახლეობას ემსახურებიან. სესიას უნდა მოვახსენო, რომ ამ კანონის შესაბამისად ჩვენი რესპუბლიკის განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის 190 ათასამდე მუშაკს მიმდინარე წელს პირველი ნოემბრიდან მნიშვნელოვნად გაუდიდდა ხელფასი. ამავე დროს, როგორც თქვენთვის ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე 1965 წლის პირველი იანვრიდან უდიდდებათ მინიმალური ხელფასი სახალხო მეურნეობის ყველა იმ დარგის მუშაკებს, სადაც ჯერ ეს არ განხორციელებულა. ამასთანავე, დადგენილ ვადაზე ადრე—მომავალი წლის პირველ მაისამდე გაუდიდებათ განაკვეთი და სარგო სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მუშაკებსაც.

წარმოების მოცულობის გადიდებისა და ხელფასის ზემოაღნიშნული მოწესრიგების შედეგად, მომავალი წლისათვის რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად იზრდება მუშა-მოსამსახურეთა საშუალო ხელფასის დონე, ერთი წლის განმავლობაში სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობა გადიდდება 52 ათასამდე კაცით.

ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის კარგად ორგანიზებულ საყოფაცხოვრებო მომსახურებას.

1965 წლის გეგმის პროექტით რესპუბლიკაში საყოფაცხოვრებო მომსახურების საერთო მოცულობა მიმდინარე წელთან შედარებით გაიზრდება 16,1 პროცენტით, აქედან სოფელ აღგილებში 1,5-ჯერ.

უნდა აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელ პერიოდში რესპუბლიკაში გარკვეული სამუშაოები შესრულდა მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გასაუმჯობესებლად. მაგრამ ამ სახის მომსახურების ამჟამად არსებული დონე მნიშვნელოვნად ჩამორჩება მშრომელთა გაზრდილ მოთხოვნილებებს.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ, ეკავშირმა და ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებმა უნდა გააუმჯობესონ მუშაობა, რათა უახლოეს პერიოდში უზრუნველყონ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლება.

1965 წლის გეგმის წარმოდგენილი პროექტით სახელმწიფო და კოოპერაციული საცალო საქონელბრუნვის საერთო მოცულობა, მოსახლეობის მყიდველობითი ფონდების შესაბამისად, 8,1 პროცენტით გადიდდება 1964 წელთან შედარებით.

ვაჭრობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განსამტკიცებლად 1965 წლისათვის გათვალისწინებულია კაპიტალურ დაბანდებათა ზრდა მიმდინარე წელთან შედარებით 37,9 პროცენტით, აქედან ვაჭრობის სამინისტროს ხაზით 58-მდე პროცენტით.

1965 წლის გეგმის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა დაწესებულებების კონტინგენტი 1965 წელს აყვანილ იქნება 84 ათას ბავშვამდე, რაც 6 ათასით აღემატება 1964 წლის რაოდენობას.

1965 წელს ზოგადსაგანმანათლებლო ქსელში მოსწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია 864 ათასი კაცით, რაც 3,2 პროცენტით აღემატება 1964 წლის კონტინგენტს. სკოლა-ინტერნატებში იქნავლის 23 ათასი კაცი, ანუ 2,7 პროცენტით მეტი, ვიდრე მიმდინარე წელს.

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მიღება გაიზრდება სამი პროცენტით.

გეგმა ითვალისწინებს რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის შემდგომ გაუმჯობესებას. მარტო ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ხაზით სავადმყოფო საწოლების რაოდენობა გაიზრდება 7,1 პროცენტით. მოსახლეობის სავადმყოფო საწოლებით უზრუნველყოფა მომავალ წელს რესპუბლიკის 10 ათას მცხოვრებზე მიაღწევს თითქმის 89 საწოლს, რაც 19 პროცენტით აღემატება შეიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულ ოდენობას. 1965 წელს დაიწყება 1.100-საწოლიანი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი საავადმყოფოს მშენებლობა თბილისში.

გათვალისწინებულია მოსახლეობის კომუნალური მომსახურების შემდგომი გაუმჯობესება. საექსპლოატაციოდ გადაეცემა: დღეღამეში 142 ათასი კუბური მეტრი წყლის მიწოდების სიმძლავრეები, საკანალიზაციო ქსელი დღეღამეში 32,7 ათასი კუბური მეტრის გამტარობისა, გაზსადენი ქსელი 59 კილომეტრი სიგრძისა და სხვ. მთავრდება წყალსადენების მშენებლობა ქუთაისში, ფოთში, თელავში, წყალტუბოში, ახალქალაქში, ზნაურსა და სოხუმში. ნაწილობრივ დამთავრდება ბელოჩიერის წყალსადენის გაფართოება, რაც ქალაქ თბილისს დამატებით მიაწვდის დღეღამეში 10 ათას კუბურ მეტრ წყალს. გარდა ამისა, ქ. თბილისისათვის დაიწყება ახალი წყალსადენის მშენებლობა ჯოპორტა-მისაქციელის წყაროებიდან — დღეღამეში 86 ათასი კუბური მეტრი წყლის მიწოდების სიმძლავრისა, დაიწყება ახალი წყალსადენის მშენებლობა სარეხერეში, ორკონიკიძესა და ბაკურიანში. გაზიფიცირებული იქნება 48 ათასი ბინა. გაიზრდება მგზავრების გადაყვანა საქალაქო ტრანსპორტით.

როგორც ცნობილია, საბინაო პრობლემა პარტიისა და მთავრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგანია. მიუხედავად იმისა, რომ განვლილი ექვსი წლის მანძილზე საექსპლოატაციოდ გადაეცა 2.068,8 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, საცხოვრებელ ბინებზე მოთხოვნილება ძალიან დიდია. დაფინანსების ყველა წყაროს მიხედვით 1965 წელს გეგმის პროექტი ითვალისწინებს საექსპლოატაციოდ გადაეცეს 571 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მოკავშირე რესპუბლიკებს ნება დაერთოთ საწარმოო მშენებლობაზე გამოყოფილი თანხების 3 პროცენტამდე მოახმარონ საბინაო და კომუნალური ობიექტებას მშენებლობას.

ამ თანხების გამოყენების შედეგად კაპიტალური დაბანდებანი საბინაო მშენებლობაზე 1965 წელს წინა წელთან შედარებით გაიზრდება 20-მდე პროცენტით.

მიუხედავად იმისა, რომ განვიცდით ბინების მწვავე ნაკლებობას, მიმდინარე წელს არ სრულდება საბინაო მშენებლობის დამტკიცებული გეგმები.

რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და ავტონომიური ოლქის, საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა აუცილებლად უნდა უზრუნველყონ საბინაო მშენებლობის 1965 წლის გეგმის მთლიანად და ხარისხიანად შესრულება.

(დასასრული მე-3 გვერდზე).

სოფლის მეურნეობის დარგში

ამხანაგო დეპუტატებო!

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ სოფლის მეურნეობის განვითარება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანად აღიარა. ამასთან დაკავშირებით სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმა ითვალისწინებს კაპიტალურ დაბანდებათა მნიშვნელოვან ზრდას და სოფლის მეურნეობის წარმოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უკეთ უზრუნველყოფას.

ამის მიხედვით გეგმის პროექტი ითვალისწინებს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებისათვის 3.000 ტრაქტორის, 350 მარცვლის ასაღები კომბაინის, 1.180 სატვირთო ავტომანქანის, ბულდოზერების, ექსკავატორების, ამწეებისა და სხვა მექანიზმების გამოყოფას. ამასთან ერთად კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მიიღებენ 401 ათას ტონა მინერალურ სასუქს, ანუ 67 ათასი ტონით მეტს, ვიდრე მიმდინარე წელს.

1965 წლის გეგმაში საწარმოო დანიშნულების ობიექტების მშენებლობისათვის გათვალისწინებულია 120 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, რაც 30 მილიონი მანეთით მეტია, ვიდრე მიმდინარე წელს იყო გამოყოფილი. ამავე დროს კოლმეურნეობების წარმოების გადიდებისათვის გათვალისწინებულია 27 მილიონი მანეთი გრძელვადიანი კრედიტების გამოყოფა. გარდა ამისა, საკავშირო მთავრობამ მოკავშირე რესპუბლიკებს უფლება მისცა საჭიროების შემთხვევაში თავიანთი სარეზერვო ფონდიდან გამოიყენონ სოფლის მეურნეობისათვის საკრედიტო ასიგნებანი.

დიდი სამუშაოები შესრულდება მიწების მოჩოწყვეტა და ამოშრობისათვის. მომავალ წელს დაიწყება ალაზნის არხის მშენებლობა. საგრძნობი ფართობები იქნება დაშრობილი კოლხეთის დაბლობში.

წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით გათვალისწინებულია 26,3 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი, ანუ 38,4 პროცენტით მეტი მიმდინარე წელთან შედარებით. ეს საშუალებას იძლევა 1965 წლის ბოლოსათვის მიღებულ იქნს დასამუშავებლად 15,7 ათასი ჰექტარი ახალი სარწყავი მიწები 3 ათასი ჰექტარი ამოშრობილი ფართობი და 15 ათასი ჰექტარი გაწყლიერებული საძოვრები.

სოფლის მეურნეობაში გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებები იმის შესაძლებლობას იძლევა, რომ საბჭოთა მეურნეობებმა დიდი რაოდენობით გააშენონ ჩაისა და დაფნის პლანტაციები, ვენახები, ხეხილის ბაღები, ციტრუსები და სხვა მრავალწლიანი ნარგავები. დიდი სამუშაოებია შესასრულებელი მეცხოველეობის ბინების მშენებლობის საქმეში. საბჭოთა მეურნეობებმა მომავალ წელს მოქმედებაში უნდა შეიყვანონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სადგომები 12,7 ათასი სულისათვის, ფარეხები 22 ათასი სულისათვის, საღორეები 3,2 ათასი სულისათვის და საფრინველეები 240 ათასი ფრთა ქათმისათვის.

1965 წლის გეგმა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მნიშვნელოვან ზრდას. წინასწარი გაანგარიშებით სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქცია მიმდინარე წელთან შედარებით, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, 18 პროცენტით გაიზრდება, მათ შორის სახელმწიფო მეურნეობებში — 28 პროცენტით, კოლმეურნეობებში — 26 პროცენტით.

მომავალ წელს ჩვენმა სახელოვანმა მეჩაიეებმა სახელმწიფოს უნდა მიაყიდონ სულ მცირე 185 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. ყურძნის საერთო მოსავალმა უნდა მიაღწიოს 395 ათას ტონას, ნაცვლად მიმდინარე წლის 195 ათასი ტონისა, ხილის — 238 ათას ტონას, ციტრუსოვანთა ნაყოფისა — 22,5 ათას ტონას. გაიზრდება აგრეთვე მარცვლის, ბოსტნეულის, კარტოფილის და ეთერზეთოვანი კულტურების წარმოება.

მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელება მოგვიხდება მეცხოველეობის დარგში. ეს დარგი ჩვენი სოფლის მეურნეობის მეტად ჩამორჩენილი უბანია. ამიტომ სოფლის მეურნეობის მუშაკთა მთელი ყურადღება უნდა მივაპყროთ ამ დარგის შემდგომ განვითარებას

დეპუტატ ე. მ. ჯაფარიძის მოხსენების დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტექნიკური პროგრესის, შრომის ნაყოფიერების ზრდისა და თვითღირებულების შემცირების საკითხები

კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში მეცნიერებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს. ჩვენმა მეცნიერებმა, ინჟინრებმა, ტექნიკოსებმა და მოწინავე მუშებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს მთელი რიგი რთული ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტაში. ამან შესაძლებლობა მოგვცა მოქმედი საწარმოების სიმძლავრის ზრდასთან და მათი ტექნიკური დონის ამაღლებასთან ერთად გაგვეუმჯობესებინა შრომის პირობები და წარმოების ეკონომიური მაჩვენებლები.

საკმარისია ითქვას, რომ 1964 წელს შეიქმნა მანქანების, დანადგარების, ხელსაწყოებისა და მასალების 40-ზე მეტი ახალი ნიმუში. წარმოებაში დანერგილია 50-ზე მეტი ავტომატური, ნახევრადავტომატური და მექანიზებული ნაკადური ხაზი, აითვისებულია 33 დასახელების ახალი სამრეწველო პროდუქციის გამოშვება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ტექნიკური პროგრესის დასაჩქარებლად გაწეული მუშაობის მიუხედავად, ხალხო მეურნეობაში შეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა დანერგვის საქმეში ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი.

ჭიანურდება დამთავრებული გამოკვლევების დანერგვა წარმოებაში, საცდელი დანადგარების დამზადება და მონტაჟი. არ სრულდება ახალი ტექნიკის შექმნისა და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის გეგმით გათვალისწინებული მთელი რიგი ღონისძიებები, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სახალხო მეურნეობის განვითარებას.

წარმოდგენილი პროექტი 1965 წლას გეგმასა ითვალისწინებს განხორციელებულ იქნას 426 ღონისძიება: მათ შორის 180-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი და საცდელი სამუშაო, ახალი სახეობის მანქანების, დანადგარების, მასალების დაპროექტებისა და დამზადების 61 დავალება, წარმოების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის განხორციელების და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის 145 დავალება, 24 სახის ნაკეთობის სერიული წარმოების ათვისება და სხვ.

სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისა და ახალი ტექნიკის დანერგვის დასახულ ღონისძიებათა შესრულებისათვის საჭიროა სამეცნიერო-საკვლევმა ორგანიზაციებმა, სახალხო მეურნეობის სბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა დასახონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი გეგმის შესასრულებლად.

სოციალისტური წარმოების წინაშე ამჟამად მეტად აქტუალურად დგას პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი, როგორც ყველაზე მთავარი და ყველაზე მნიშვნელოვანი სახალხო-სამეურნეო ამოცანა. ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებს ამ მიმართულებით ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. პროდუქციის ხარისხი და ასორტიმენტი ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მზარდ მოთხოვნილებებს.

უნდა მივაღწიოთ არა მარტო უკვე ათვისებული პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას, არამედ პროდუქციის ასორტიმენტის სისტემატურ და გეგმაზომიერ განახლებასაც.

გადაჭრით უნდა აღიკვეთოს ისეთი შემთხვევები, როცა ახალი სახის პროდუქციის წარმოების ათვისების სამუშაოები მთავრდება ნიმუშების გამოშვებით, მათი მასობრივი წარმოებისათვის კი არავინ ზრუნავს. ამიტომაც სავსებით მართებულად და დროულად აღნიშნა ამხ. ა. ნ. კოსიგინმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიაზე, რომ ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობა საჭიროა შეფასდეს უმთავრესად იმით, თუ რამდენად აკმაყოფილებს წარმოებული პროდუქცია მომხმარებელთა მოთხოვნებს, როგორ საღდება და შეესაბამება იგი მსოფლიო ტექნიკურ დონეს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ მიმდინარე წელს მიიღეს გაშლილი რეკომენდაციები წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების შემდგომი გაღრმავებისა შესახებ. იქვე არ არის, რომ ამ რეკომენდაციების განხორციელება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს, ხელს შეუწყობს შრომის ნაყოფიერების ზრდას, ამცირებს დანახარჯებს.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობის განვითარება

ამხანაგო დეპუტატებო!

თქვენთვის გადმოცემულ მასალებში მოყვანილია აფხაზეთის, აჭარის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების ძირითადი მაჩვენებლები. მათზე დაწვრილებით არ შევჩერდები. მოგახსენებთ მხოლოდ ზოგიერთ ძირითად მაჩვენებელს.

როგორც მოგეხსენებათ, ადგილობრივი საბჭოების დაქვემდებარებაში მყოფი საწარმოები და ორგანიზაციები მოსახლეობის მოთხოვნილების უშუალო დაკმაყოფილებას ემსახურებიან. ადგილობრივი საბჭოების ძირითადი ამოცანაა ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის ადგილობრივი ორგანიზაციების მუშაობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების დონის და ხარისხის შემდგომი ამაღლების უზრუნველყოფა.

აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1964 წელთან შედარებით 15,6 პროცენტით გაიზრდება.

სახელმწიფო და კოოპერაციული საბინაო მშენებლობის ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 26,3 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. აქედან სახელმწიფო სახსრებით — 13,53 ათასი კვადრატული მეტრი. ამოქმედდება: სკოლის შენობები — 1.644 მოსწავლის ადგილით, პოლიკლინიკა ტყვარჩელში, მექანიკური სამრეცხაო გუდაუთაში, ფეხსაცმლის მექანიკური შემკეთებელი სახელოსნო სოხუმში, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები გაგრასა და ტყვარჩელში, გაზგამანაწილებელი პუნქტი და კანალიზაციის ქსელი გაგრაში. რეკონსტრუირებულ იქნება და გაფართოვდება წყალსადენი და კანალიზაციის ქსელი სოხუმში, ელექტროქსელი — სოხუმში, გალსა და გაგრაში, გაგრძელდება სანაპიროების გამაგრების სამუშაოები და ა. შ.

გაიზრდება საცალო ვაჭრობის საქონელბრუნვა და გაფართოვდება საკვები და საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელი.

აჭარის ასს რესპუბლიკაში 1965 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1964 წელთან შედარებით გაიზრდება 9,2 პროცენტით. სახელმწიფო და კოოპერაციული მშენებლობის ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 13,53 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან სახელმწიფო სახსრებით — 9,23 ათასი კვადრატული მეტრი.

ამოქმედდება: სკოლის შენობები 1.680 მოსწავლის ადგილით, სბავშვო ბაღები — 275 ბავშვის ადგილით, ებანო-სამრეცხაო ქობულეთში, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები ბათუმსა და ქობულეთში, დამთავრდება ბათუმის წყალსადენისა და ქობულეთის კანალიზაციის ქსელის აგება. გაგრძელდება ბათუმის ღვარსაშვები ქსელისა და სანაპიროების გამაგრების სამუშაოები და დაიწყება ბათუმის კანალიზაციის ქსელის გაფართოება.

გაუმჯობესდება მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება და გაფართოვდება მათი ქსელი.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა 1965 წელს 1964 წელთან შედარებით გაიზრდება 45,1 პროცენტით.

აიგება სკოლის შენობები 464 მოსწავლის ადგილით და სბავშვო ბაღები 100 ბავშვის ადგილით.

სახელმწიფო და კოოპერაციული მშენებლობის ხაზით საექსპლოატაციოდ გადაეცემა 5,56 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, აქედან სახელმწიფო სახსრებით — 4,66 ათასი კვადრატული მეტრი. ამუშავდება საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი ცხინვალში, აეტაროფოლექტორიუმი ცხინვალში, გაგრძელდება ზნაურის წყალსადენისა და ცხინვალის და ჯავის კანალიზაციის ქსელის გაყვანის სამუშაოები. დაიწყება ჯავის წყალსადენის მშენებლობა და სხვ.

გაიზრდება საცალო საქონელბრუნვის მოცულობა და გაფართოვდება საკვები ორგანიზაციების ქსელი.

ამხანაგო დეპუტატებო!

სესიაზე განსახილველად წარმოდგენილი საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმის პროექტი უზრუნველყოფს რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ აღმავლობას.

გეგმით განსაზღვრული წარმოების, მშენებლობის და პროდუქციის მიმოქცევის დარგების ზრდის ტემპები უზრუნველყოფილია მოქმედი და საექსპლოატაციოდ გადასაცემი საწარმოო სიმძლავრეებით, შრომითი, მატერიალური და ფინანსური რესურსებით.

სრული დარწმუნებით შეგვიძლია გაწვიოთ, რომ XXII ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმების დადგენილებებით შეიარაღებული საქართველოს სსრ მშრომელები, საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, წარმატებით უზრუნველყოფენ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1965 წლის გეგმის ყველა მაჩვენებლის მოლიანად და გადაჭარბებით შესრულებას და ამით თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აგების დიდ საქმეში. **(ტაში).**

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი და საქართველოს სსრ 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ

საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენება

ამხანაგო დეპუტატებო! — საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს უმაღლესი საბჭოს სესიის განსახილველად და დასამტკიცებლად შემოაქვს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი.

სესიას უკვე მოხსენდა იმ დიდ სამუშაოთა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმით. ეს გეგმა შემადგენელი ნაწილია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული გეგმისა, რომელიც სულ რამდენიმე დღის წინათ განიხილა და ერთხმად მოიწონა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ. მისი შესრულება უზრუნველყოფს სოციალისტური წარმოების უფრო მნიშვნელოვან ზრდას, ქვეყნის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას, ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომ ამაღლებას. თქვენ უკვე მოისმინეთ, რომ წარმატებით სრულდება რესპუბლიკის მიმდინარე წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმა. ამ გარემოებამ განაპირობა რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაც და შეიძლება სესიას მოვახსენო, რომ, წიახსწარ მონაცემების მიხედვით, საქართველოს სსრ 1964 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავალში შესრულებულ იქნება მთლიანად.

ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას ხელი შეუწყო საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციებისა და საფინანსო ორგანოების აქტიურმა მუშაობამ, ეკონომიური და საკონტროლო მუშაობის გაუმჯობესებამ. ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობას სისტემატურად განიხილავდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, იღებდა სათანადო ღონისძიებებს ბიუჯეტის შესრულების უზრუნველსაყოფად. მიმდინარე წლის აგვისტოში ბიუჯეტის შესრულება მოისმინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სპბიუჯეტო კომისიამ და დასახა სათანადო ღონისძიებანი. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა როგორც რესპუბლიკური სამეურნეო ორგანიზაციებს, ისე ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების მუშაობის გააქტიურების თვალსაზრისით, დამტკიცებული გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულებისათვის.

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალი და ხარჯები

ამხანაგო დეპუტატებო! საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შედგენილია რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად და ითვალისწინებს გეგმით დასახული ყველა ღონისძიების დაფინანსებას.

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლისა და ხარჯების საერთო თანხებში მოწონებული იყო რესპუბლიკის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მიერ.

იმასთან დაკავშირებით, რომ დაზუსტებულ იქნა სახალხო მეურნეობის გეგმის მაჩვენებლები, აგრეთვე იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნას სახალხო მეურნეობის დამატებითი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება პარტიისა და მთავრობის შემდგომი დადგენილებების შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილია სათანადო ცვლილებები.

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი როგორც შემოსავალში, ისე ხარჯებში შედგენილია 942.263 ათასი მანეთის ოდენობით. 1964 წლის დამტკიცებულ გეგმასთან შედარებით სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები იზრდება 104.353 ათასი მანეთით ანუ 12,5 პროცენტით.

ბიუჯეტის შემოსავლის ძირითად წყაროს, უფრო ზუსტად მთელი შემოსავლის 91,1 პროცენტს, სოციალისტური მეურნეობის დაგროვება წარმადგენს, რაც შემოდის ბიუჯეტში მოგების ანარიცხების, ბრუნვის გადასახადისა და სოციალისტური მეურნეობის სხვა გადასახდელების სახით.

ცალკეულ სახეობათა მიხედვით შემოსავალი გათვალისწინებულია შემდეგი ოდენობით (ათას მანეთობით):

	1964 წ. (დაზუსტებული გეგმით)	1965 წ.
მოგების ანარიცხები	208.207	222.489
ბრუნვის გადასახადი	406.838	490.889
სახელმწიფო საწარმოებისა და ორგანიზაციების შენაგანი მშრომელთა სოციალური დაზღვევისათვის, საშემოსავლო გადასახადი კოლმეურნეობებიდან და კოოპერაციიდან, სოციალისტური მეურნეობის სხვა შემოსავალი	187.054	145.168

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს, ბიუჯეტში საგრძნობლად იზრდება მოგების ანარიცხები. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ 1965 წელს მოგების საერთო თანხა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში 1964 წლის გეგმასთან შედარებით იზრდება 17,2 პროცენტით და შეადგენს 397 მილიონ მანეთს.

ბიუჯეტში მოგების ანარიცხების დიდი თანხებია გათვალისწინებული სახალხო მეურნეობის საბჭოს, ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის მთავარი სამმართველოს, ავტომატხსპორტის სამინისტროს, კავშირგაბმულობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, პუროული პროდუქტების მთავარი სამმართველოსა და ზოგიერთი სხვა სამეურნეო ორგანიზაციის ხაზით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს მოგების გეგმების შეუსრულებლობის შედეგად ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებებს ვერ ასრულებენ სახალხო მეურნეობის საბჭოს რიგი სამმართველოები და ტრესტები, საქმთავენერგო, მშენებლობის სამინისტრო და სხვ.

გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ მთელი რიგი საწარმოები და ორგანიზაციები დადგენილ ვადებში არ ერიცხავენ ბიუჯეტს კუთვნილ გადასახდელებს, რითაც ზიანს აყენებენ ბიუჯეტს, აგრეთვე თავის საწარმოსაც. ბიუჯეტში შესატანი თანხების არათავისდროულად ჩარიცხვის შედეგად მიმდინარე წლის 9 თვეში სუფრავის სახით საფეიქრო მრეწველობის საწარმოებმა გადაიხადეს 18 ათასი მანეთი, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოებმა — 16 ათასი მანეთი, ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებმა — 17 ათასი მანეთი, სამტრესტის კონიაკის ქარხანამ — 12 ათასი მანეთი და სხვ.

საჭიროა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელობამ განსაკუთრებული უურადღება მიაქციონ საგადასახდელო დისციპლინის დაცვას.

კოლმეურნეობების საშემოსავლო გადასახადი 1965 წელს უნდა შემოვიღეს 20.068 ათასი მანეთის ოდენობით. ამ თანხის განსაზღვრისას მხედველობაში მიღებული ის შეღავათები, რაც ეძლევათ კოლმეურნეობებს მეცხოველეობის შემოსავლიდან, გადასახადის შემცირება ეკონომიურად სუსტი კოლმეურნეობებისათვის 75 პროცენტით და სხვა შეღავათები. სულ შეღავათების თანხა შეადგენს 3 მილიონ მანეთზე მეტს.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსახლეობის გადასახადები ბიუჯეტის შემოსავლის უმნიშვნელო ნაწილს შეადგენს. ეს გადასახადები გამოიანგარიშება კანონით დადგენილი წესების შესაბამისად და საჭიროა მათი გატარებისას კვლავაც განსაკუთრებული უურადღება ექცეოდეს სა-გადასახადო კანონმდებლობის მტკიცედ დაცვას.

რესპუბლიკის სახელმწიფო დაზღვევის ორგანოები ყოველწლიურად მნიშვნელოვან თანხას გამოაყოფენ სტიქიური უბედურების შედეგად კოლმეურნეობებისა და მოსახლეობისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია დაზღვევის საზღაურის გასაცემად 13 მილიონი მანეთი.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად არის განვითარებული ნებაყოფლობითი დაზღვევა, განსაკუთრებით მოსახლეობაში. ბევრგან კოლმეურნეობების მხოლოდ ნაწილს აქვს ნებაყოფლობითი წესით დაზღვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები და ცხოველები. დიდია სავალდებულო საგანაკვეთო დაზღვევის გადასახდელთა ნარჩენები.

საჭიროა მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომებმა მეტი დახმარება გაუწიონ საფინანსო და სახდაზღვევის ორგანოებს აღნიშნულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეში.

1965 წლის ბიუჯეტით სახსრების მიმართულება გათვალისწინებულია შემდეგი სახით (ათას მანეთობით):

	დამტკიცებული იყო 1964 წელს	გათვალისწინებულია 1965 წლისათვის
სახალხო მეურნეობის დაფინანსება	361.822	398.885
სოციალტურული ღონისძიებების დაფინანსება	428.799	496.258

სახალხო მეურნეობის დასაფინანსებლად ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხა 9,0 პროცენტით აღემატება მიმდინარე წლის ასიგნებებს და ხვედრითი წონის მიხედვით ბიუჯეტში შეადგენს 41,8 პროცენტს. სამეურნეო ორგანიზაციების საკუთარი სახსრების ჩათვლით სახალხო მეურნეობაზე ხარჯების საერთო თანხა შეადგენს 733.515 ათასი მანეთს, რაც მიმდინარე წელთან შედარებით იძლევა ზრდას 11,8 პროცენტით.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად 1965 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხის ხვედრითი წონა ბიუჯეტში შეადგენს 52,7 პროცენტს.

ბიუჯეტი ითვალისწინებს სარეზერვო ფონდს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებაში, რაც მოხმარდება რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარების დამატებით ღონისძიებათა და ბიუჯეტის შესრულების პროცესში წამოჭრილ გადაუდებელ საჭიროებათა დაფინანსებას.

1965 წლის ბიუჯეტის შესრულება ჩვენი რესპუბლიკის ყოველი საწარმოს, მშენებლობის, საბჭოთა მეურნეობის, დაწესებულებისა და ორგანიზაციის მუშაკთა კოლექტივებისაგან წლის დასაწყისიდანვე მოითხოვს დიდ მუშაობას ბიუჯეტის წინაშე თავიანთ ვალდებულებათა მოლიანად და დროზე შესასრულებლად და სახელმწიფო სახსრების მიზნობრივად და რაც შეიძლება მეტი ეკონომიური ეფექტიანობით გამოყენების უზრუნველსაყოფად.

მრეწველობის დაფინანსება

შესამჩნევ წარმატებებს მიაღწია რესპუბლიკის მრეწველობამ სამრეწველო პროდუქციის გამოშვების გეგმების შესრულების საქმეში. წარმოების გადიდების შესაბამისად წლითიწლობით იზრდება მრეწველობის დაფინანსება. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით ხარჯები მრეწველობის განვითარებაზე 1965 წელს გაიზრდება 10,6 პროცენტით და იქნება 271,2 მილიონი მანეთი, მათ შორის ბიუჯეტიდან — 92,7 მილიონი მანეთი.

განსაკუთრებით დიდი თანხები დაიხარჯება მრეწველობის ისეთი დარგების განვითარებაზე, როგორიც არის ქიმიური მრეწველობა, შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, მსუბუქი და კვების მრეწველობა.

საკუთარი საბრუნავი სახსრების მატებისათვის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხაზით 1965 წელს გათვალისწინებულია 34,6 მილიონი მანეთი, რაც დიდად აღემატება წინა წლებში ამ მიზნისათვის გამოყოფილ სახსრებს და ქმნის პირობებს საწარმოთა ნორმალური სამეურნეო-საფინანსო საქმიანობისათვის.

სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის წარმატებით შესრულების საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს მრეწველობაში არსებული შიდასამეურნეო რეზერვების მობილიზაციას.

რესპუბლიკის მრეწველობას შრომის ნაყოფიერების შემდგომი ზრდის დიდი შესაძლებლობა აქვს. ცნობილია, რომ შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე დიდად არის დამოკიდებული პროდუქციის წარმოების ზრდა. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ შრომის ნაყოფიერების საგეგმო დავალება მიმდინარე წელს ვადაზე ადრე შეასრულა; ამასთან ამ დავალების შესრულება მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემების მიხედვით ვერ უზრუნველყო საწარმოთა 27,6 პროცენტმა; განსაკუთრებით ჩამორჩნენ მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის საწარმოები.

უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე წელს გამოვლინებული იყო ნაკლოვანებანი შრომის ნაყოფიერების დაგეგმვის საქმეში. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსა და მისი დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების მიერ მიმდინარე წლის პირველ კვარტალში წარმოების, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის გეგმების საწარმოებამდე დაშვებისას სრულად არ იყო გათვალისწინებული საწარმოებში არსებული შესაძლებლობანი. ზოგიერთ შემთხვევაში საწარმოთათვის დაწესებული წარმოებისა და შრომის ნაყოფიერების ზრდის საგეგმო დავალება შემცირებული იყო 1963 წლის პირველ კვარტალთან შედარებით. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამ საკითხზე მიიღო სათანადო დადგენილება, რომლითაც დაავალა სახალხო მეურნეობის საბჭოს განახორციელოს საჭირო ღონისძიებანი წარმოების, შრომის ნაყოფიერებისა და ხელფასის დაგეგმვის დარგში არსებული ნაკლოვანებების ლიკვიდაციისათვის და დაგეგმვის გაუმჯობესებისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ახლახან დამთავრებულ სესიაზე აღნიშნული იყო ამოქმედებულ საწარმოთა სიმძლავრეთა დიდი ხხით აუთვისებლობა. ეს შედეგია იმ ნაკლოვანებებისა, რასაც ადგილი აქვს წარმოების დაგეგმვასა და ორგანიზაციაში, საწარმოებისა და განსაკუთრებით ტექნოლოგიური პროცესების დაპროექტებაში, აგრეთვე სამშენებლო და სამონტაჟო ორგანიზაციების მუშაობაში.

საჭიროა მივაღწიოთ ახლად ამოქმედებულ საწარმოო სიმძლავრეთა სწრაფ ათვისებას, რაც დიდად შეუწყობს ხელს სამრეწველო წარმოების ტემპების ზრდას.

ჩვენი ეკონომიკის შემდგომი განვითარების საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში აღნიშნული, რომ „პროდუქციის ხარისხის სისტემატური ამაღლება ეკონომიკის განვითარების სავალდებულო მოთხოვნაა“. ამ მიმართულებით ჩვენს რესპუბლიკაში გატარებული გარკვეული ღონისძიებანი. მაგრამ, ამასთან, მსუბუქი, საფეიქრო და ხისდამუშავებელი მრეწველობის ცალკეული საწარმოები, აგრეთვე ის საწარმოები, რომლებიც კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნაკეთობებს უშვებენ, ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ პროდუქციის ხარისხისა ამაღლების საქმეს, აგრეთვე ნაკეთობათა სილამაზესა და გარეგნულ გამოყვანას.

საჭიროა გაძლიერდეს კონტროლი პროდუქციის ხარისხზე; საგრძნობლად უნდა გაუმჯობესდეს საწარმოთა ტექნიკური კონტროლის განყოფილებების მუშაობა, ამაღლდეს საწარმოთა სათანადო მუშაკების პასუხისმგებლობა ტექნოლოგიური დისციპლინის დაცვისა და საწარმოთა მუშაობის რიტმულობის საქმეში.

სამრეწველო საწარმოებში დიდი რაოდენობით არის დაგროვილი ნედლეული, მასალებისა და მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგი, რომლის მობილიზაცია დიდად შეუწყობს ხელს სახალხო-სამეურნეო გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების საქმეს.

მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით სახალხო მეურნეობის საბჭოს სამრეწველო საწარმოებში სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა ზენორმატიული მარაგი 47,9 მილიონ მანეთს შეადგენდა. განსაკუთრებით დიდი იყო მზა პროდუქციის ზენორმატიული მარაგი საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის, საკონსერვო მრეწველობის, აგრეთვე ელექტროტექნიკური და ხელსაწყოთსამშენებლო მრეწველობის საწარმოებში.

ეს შედეგია იმ ნაკლოვანებებისა, რასაც ადგილი აქვს წარმოების დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საქმეში. ამასთან ცალკეული საწარმოები უშვებენ ისეთ პროდუქციას, რომელსაც არა აქვს გასაღება, ან გადაჭარბებით ასრულებენ შეზღუდული გასაღების მქონე საქონლის გამოშვების გეგმებს. ამავე დროს უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ცალკეულ საწარმოთა ხელმძღვანელები ქმაყოფილდებიან პროდუქციის გამოშვების გეგმის საერთო მაჩვენებლების შესრულებით და სათანადო ყურადღებას არ აქცევენ საწარმოს მუშაობის ისეთ უმნიშვნელოვანეს მაჩვენებელს, როგორიც არის პროდუქციის რეალიზაციის გეგმის შესრულება.

სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებულ ღონისძიებათა წარმატებით დაფინანსების უზრუნველყოფის საქმეში განუხრელად იზრდება საწარმოთა მოგების ის როლი. რესპუბლიკის ბევრი სამრეწველო საწარმო წარმატებით ასრულებს პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მოგების საგეგმო დავალებებს, მაგრამ ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ დიდია ისეთ საწარმოთა რიცხვი, რომელნიც ვერ უზრუნველყოფენ ამ დავალებების შესრულებას.

საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ მიმდინარე წლის 9 თვეში მოგების გეგმის შესრულებას დააკლო 9,4 მილიონი მანეთი. მოგების გეგმის შესრულება ვერ უზრუნველყო გეგმით მომგებიან საწარმოთა დიდმა რაოდენობამ. მოგების გეგმის შესრულების საქმეში ჩამორჩენა აქვს ქიმიური მრეწველობის, მანქანათმშენებლობის, ხისდამშუშავებელი მრეწველობის, საშენ მასალათა მრეწველობის, მსუბუქი და საფეიქრო მრეწველობის, აგრეთვე საკონსერვო მრეწველობის ბევრ საწარმოს. მოგების გეგმა ვერ შეასრულა აგრეთვე „საქმთავენერგომ“. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ მთელი რიგი საწარმოები რეალიზაციის გეგმის შეუსრულებლობასთან ერთად ვერ უზრუნველყოფენ თვითღირებულების გეგმის შესრულებას, უშვებენ გადახარჯვებს ნედლეულსა და მასალებში, ხელფასში, აგრეთვე უნაყოფო ხარჯებსა და წუნით გამოწვეულ დანაკარგებს. უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საგეგმო დავალება სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობამ მიმდინარე წლის 9 თვეში ვერ შეასრულა. პროდუქციის თვითღირებულების საგეგმო დავალების შესრულება ვერ უზრუნველყო სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მნიშვნელოვანმა რაოდენობამ. უნაყოფო ხარჯებმა და წუნით გამოწვეულმა დანაკარგებმა სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა ხაზით 4,7 მილიონი მანეთი შეადგინა.

საჭიროა სახალხო მეურნეობის საბჭომ და მისთვის დაქვემდებარებული საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უზრუნველყონ პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და მოგების საგეგმო დავალებათა შესრულება.

შიდასამეურნეო რეზერვების მობილიზაციისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ზარალიანობის ლიკვიდაციას. ამ უკანასკნელ დროს განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად რესპუბლიკის ბევრი ზარალიანი საწარმო მომგებიანი გახდა; შემცირდა ზარალიან საწარმოთა რიცხვი და ზარალის თანხა.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ სახალხო მეურნეობის საბჭო და მისი დარგობრივი სამმართველოები ამოცანას წარმოადგენს კონკრეტული და ქმედითი ღონისძიებების განხორციელება დაუდგმელი მოწყობილობის მარაგის შემცირებისათვის, რომლის ნაშთები ამჟამად გაზრდილია.

მშენებლობის მსხვილი ობიექტების შემოწმებამ დაგვანახვა, რომ მოწყობილობის სამონტაჟოდ გადაცემის გრაფიკი მშენებლობისათვის ყოველთვის არ მტკიცდება, ხოლო დამტკიცებული გრაფიკი ხშირად შეუსრულებელია.

კონტროლის არასაკმაოდ განხორციელების გამო ადგილი აქვს არასაჭირო და ზედმეტი მოწყობილობის შემოზიდვის ფაქტებს.

მოწყობილობის აღწერის მონაცემების მიხედვით 1964 წლის 1 იანვრისათვის არასაჭირო და ზედმეტი მოწყობილობის ნაშთი სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში 1963 წელთან შედარებით გაზრდილი იყო და შეადგენდა 5,9 მილიონ მანეთს. მთლიანად რესპუბლიკაში მარტო დაუდგმელი მოწყობილობის ზენორმატიული ნაშთი შეადგენს 33,3 მილიონ მანეთს, აქედან სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებში 28,7 მილიონ მანეთს.

საჭიროა გადაჭრით გაუმჯობესდეს მოწყობილობის მიღების დაგეგმვისა და გაწაწილების საქმე.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა დაამტკიცონ თვითეული სამშენებლო ობიექტისა და საწარმოსათვის დაუდგმელი მოწყობილობის გამოყენების გეგმა და უზრუნველყონ ამ გეგმის შესრულებისადმი მტკიცე კონტროლის განხორციელება.

რესპუბლიკაში ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად სრულდება სამშენებლო-სამონტა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია

დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის მოხსენების დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღსანიშნავია, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის მთელმა რიგმა საბჭოთა მეურნეობებმა გაუმჯობესეს მუშაობა და რენტაბელურად წარმართეს მეურნეობა.

ამავე დროს როგორც მიმდინარე წლის 9 თვის საანგარიშო მონაცემებიდან, ისე ადგილებზე ჩატარებული შემოწმების მასალებიდან ჩანს, რომ ბევრი საბჭოთა მეურნეობის საწარმოო და საფინანსო საქმიანობაში ჯერ კიდევ სერიოზულ ნაკლოვანებებს აქვს ადგილი; ამიტომ არის, რომ ეს საბჭოთა მეურნეობები სამეურნეო წელს დიდი ზეგეგმითი ზარალით ამთავრებენ და ვერ უზრუნველყოფენ საკუთარი საბრუნავი სახსრების შენარჩუნებას.

არადამაკმაყოფილებელი მაჩვენებლები აქვს ზოგიერთ საცდელ-საჩვენებელ მეურნეობასაც. მთლიანად რესპუბლიკაში 28 საცდელ-საჩვენებელი მეურნეობაა, მათ შორის 14 საბჭოთა მეურნეობა. ამ მეურნეობათა ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები მოწოდებული არიან მიწისა და ტექნიკის კარგი გამოყენების მაგალითები აჩვენონ, რისთვისაც ისინი ხელფასის გადიდებულ განაკვეთებს იღებენ. სინამდვილეში კი ზოგიერთ ასეთ მეურნეობას სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ცხოველთა პროდუქტიულობის, აგრეთვე სხვა ეკონომიური მაჩვენებლების მხრივ უფრო ცუდი მდგომარეობა აქვთ, ვიდრე ამავე ზონის სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ მთელი რიგი საცდელ-საჩვენებელი მეურნეობები სამეურნეო წელს ზეგეგმითი ზარალით ამთავრებენ.

1965 წელს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე დაიხარჯება 176 მილ. მანეთი, რაც 23,1 პროცენტით აღემატება 1964 წლის თანხას. ამ თანხიდან ბიუჯეტი გაიღებს 123 მილიონ მანეთს, დანარჩენი 53 მილიონი მანეთი დაიხარჯება სამეურნეო ორგანიზაციებისა და საწარმოების საკუთარი სახსრებიდან.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების სამინისტროს ხაზით 1965 წელს დაიხარჯება 108,6 მილიონი მანეთი. ამ თანხიდან კაპიტალური დაბანდებისათვის გამოყენებული იქნება 73,8 მილიონი მანეთი, რაც უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის გეგმით გათვალისწინებული მეცხოველეობის სდგომების ოკბას, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეძენას, ახალი ნარგავების გაშენებას და არსებული მრავალწლიანი ნარგავების მოვლას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამინისტროს ხაზით მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის ათვისებული არ იყო კაპიტალური დაბანდების მნიშვნელოვანი თანხები. საგრძნობი თანხა არ ყოფილა ათვისებული აგრეთვე ჯოგის ფორმირებასა და საპერაციო ხარჯებზე.

წყალთა მეურნეობის სამინისტროს ხაზით კაპიტალურ მშენებლობაზე, სარწყავი სისტემის შენახვაზე, წყალდიღრმის საჭიროებიდან გამომდინარე და სხვა ღონისძიებებზე 1965 წელს ბიუჯეტიდან დაიხარჯება 31,7 მილიონი მანეთი.

დამტკიცებულ სამშენებლო ობიექტებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ზემო ალაზნის პირველი რიგის სარწყავი არხის მშენებლობა, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება 84 მილიონ მანეთს შეადგენს. დიდი მნიშვნელობის სამუშაოები სრულდება კოლხიდის დაბლობის შემდგომი ათვისების საქმეში. სარწყავი და ამოშრობილი მიწების საერთო მატება რესპუბლიკაში 18,7 ათასი ჰექტარი იქნება.

საქართველოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისაბოის" 1965 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 2.956 ათასი მანეთი, რაც მოხმარდება მიწისმოქმედებისა და ტრაქტორებისა და სხვა იარაღ-მანქანების შეძენას, საკუთარი საბრუნავი სახსრების ნორმატივების მატებასა და ოპერაციონ ხარჯებს.

უნდა აღინიშნოს, რომ „საქსოფლტექნიკის" ცალკეული ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებლად ხელმძღვანელობენ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებებს, რის გამო მოწყობილობის და მასალების შემოზიდვა ხდება მასზე საჭირო მოთხოვნილების შეუსწავლელად, ეს კი ზენორმატიული ნაშთების წარმოშობას იწვევს. საწყობების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობისა და არასაკმარისობის შედეგად მანქანების, მოწყობილობის და სხვა საქონლის შენახვა სათანადოდ არ არის უზრუნველყოფილი. არის ფაქტები, როდესაც ზოგიერთი სარემონტო სახელოსნო დაბალი ხარისხის რემონტს აკეთებს და აჭიანურებს რემონტის ვადებს.

„საქსოფლტექნიკის" ხელმძღვანელობამ უნდა განახორციელოს სათანადო ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის და ხე-ტყის დამზადების მთავარი სამმართველოს ხაზით ბიუჯეტიდან ასიგნება გათვალისწინებულია 10,9 მილიონი მანეთის ოდენობით.

1965 წელს გათვალისწინებულია ტყეკულტურების გაშენება 5.000 ჰექტარ ფართობზე. რესპუბლიკის ბუნებრივი რესურსების სწორად გამოყენებას და დაცვას დიდი სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ზოგიერთი სატყეო მეურნეობა ამას სათანადო ყურადღებას არ აქცევს. გრძელდება სატყეო წესების დარღვევის შემთხვევები, თვითნებურად მოჭრილი ხის მასა დიდ რაოდენობის აღწევს.

მიმდინარე წელს სატყეო მეურნეობისა და ხე-ტყის დამზადების მთავარ სამმართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემიდან გადაეცა ხე-ტყის დამზადებელი მთელი რიგი ორგანიზაციები, რომელთა უმრავლესობა არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, ვერ ასრულებს საწარმოო გეგმებს, ეწევა უნაყოფო ხარჯებს და ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას.

საჭიროა მთავარმა სამმართველომ განახორციელოს ქმედითი ღონისძიებანი დაქვემდებარებული საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დიდი ფინანსური დახმარება ეწევა რესპუბლიკის კოლმეურნეობებს. სადირექტივო ორგანებიდ დაგეგმილებათა შესაბამისად ეკონომიურად სუსტ კოლმეურნეობებს ჩამოეწერათ სამემოსავლო გადასახადისა და სახელმწიფოს გადასახადთა ნარჩენები, აგრეთვე შესყიდული ტექნიკის დაგალიანება, მიეცათ შეღავათები სამემოსავლო გადასახადში და გაწეულათ ბანკის გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გადახდა, გამოეყოთ სახსრები შიდასამეურნეო „ამოსაშრობი ქსელის მშენებლობის და გადაკეთებისათვის, აგრეთვე კულტურულ-ტექნიკურ ღონისძიებათა განსახორციელებლად და სხვ.

საგრძნობლად გაიზრდება საკოლმეურნეო წარმოებაში საკრედიტო დაბანდებათა ოდენობა. კოლმეურნეობებს მიეცემათ გრძელვადიანი კრედიტი კაპიტალური დაბანდებებისათვის 27 მილიონი მანეთის და საწარმოო მოთხოვნილებებისათვის 20 მილიონამდე მანეთის ოდენობით.

რესპუბლიკის კოლმეურნეობების მიერ ამ დიდი ფინანსურმა დახმარებამ სწორად და ეფექტიანად გამოყენება ხელს შეუწყობს კოლმეურნეობებში სახოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების ზრდას.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაფინანსება

1965 წლის ბიუჯეტის პროექტით მნიშვნელოვანი თანხებია გამოყოფილი რესპუბლიკის გზების მშენებლობისა და რემონტისათვის. საჭიროა გზატკეცილების მთავარმა სამმართველომ განახორციელოს ღონისძიებანი ამ თანხების ეფექტიანად და დანიშნულებისამებრ გამოყენების უზრუნველსაყოფად.

საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს საწარმოებიდან და ორგანიზაციებიდან შემოსავალი ბიუჯეტში წლითიწლობით მატულობს.

საჭიროა, რათა ამ სამინისტრომ მეტი ღონისძიებები განახორციელოს სატვირთო მანქანების უფრო ეფექტიანად გამოყენებისათვის, უბილეთო მგზავრობის აღკვეთისა და სხვა ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის.

აღგილობრივი საბჭოებისადმი დაქვემდებარებული საბინაო და კომუნალური მეურნეობის ბევრი საწარმო ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებლად მუშაობს, გეგმით გათვალისწინებულ საწარმოო და ფინანსურ მაჩვენებლებს ვერ ასრულებს.

ახალ საბინაო მშენებლობაზე, როგორც უკვე მოგახსენდათ, 1965 წელს გათვალისწინებულია დაიხარჯოს 36.500 ათასი მანეთი, მათ შორის აღგილობრივი საბჭოების ხაზით — 22.528 ათასი მანეთი. გარდა ამისა, კომუნალური საბინაო ფონდის კაპიტალურ რემონტზე დაიხარჯება 9.191 ათასი მანეთი.

გათვალისწინებული სესხის გაცემა მშენებელ-ბანკიდან კოოპერაციული საბინაო მშენებლობისათვის 9.700 ათასი მანეთის ოდენობით, რაც 36 პროცენტით აღემატება ამ მიზნით მიმდინარე წელს გამოყოფილ თანხას.

ქალაქების თბილისისა და რუსთავის კომუნალური საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციასა და თბოფიკაციაზე ბიუჯეტიდან დაიხარჯება 2.700 ათასი მანეთი, გათვალისწინებულია აგრეთვე ქ. ცხეთის, ქ. დუშეთის, ყაზბეგის რაიონული ცენტრის და სოფ. ფასანაურის კომუნალური საბინაო ფონდის გაზიფიკაცია.

საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა მშენებლობასა და გაფართოებაზე 1965 წელს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარი სამმართველოს ხაზით გათვალისწინებულია 4 მილიონ მანეთზე მეტი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოყოფილი სახსრების გამოყენება სრულიად არადამაკმაყოფილებელად ხდება. მიმდინარე წლის ცხრა თვეში ამ სამმართველოს ხაზით კაპიტალური მშენებლობის სახელმწიფო გეგმა შესრულებულია 45,1 პროცენტით, კაპიტალური მშენებლობის გეგმა, რომელიც საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა განკარგულებაში დატოვებული მოგებისა და სხვა სახსრების ხარჯზე ხორციელდება, შესრულებულია 78 პროცენტით, ხოლო კაპიტალური მშენებლობის გეგმა, რომელიც მშენებელმა მიერ გაცემული სესხების ხარჯზე ხორციელდება, მხოლოდ 26,4 პროცენტით.

მშენებლობის გეგმების ასეთი შეუსრულებლობის შედეგად რესპუბლიკის ცალკეულ ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში არ გახსნილა საყოფაცხოვრებო მომსახურების რიგი ახალი საწარმო და სახელოსნო. მთელ რიგ ქალაქებსა და რაიონებში არ სრულდება საყოფაცხოვრებო მომსახურების საგეგმო დავალებები.

საჭიროა აღიკვეთოს ნაკლოვანებანი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების გაფართოებისათვის განკუთვნილი სახსრების გამოყენებაში. ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელის გაფართოებისა და სანიმუშო ორგანიზაციისათვის, ამასთან უნდა უზრუნველყოთ მომსახურების გაწევიდან მიღებული ამონაგების სრულად აღრიცხვა.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარმა სამმართველომ ქმედითი ღონისძიებები უნდა განახორციელოს საყოფაცხოვრებო მომსახურების სახელოსნოების მუშაობის გასაუმჯობესებლად და გაძლიერეს კონტროლი მათი საქმიანობისადმი.

1965 წლის გეგმით გათვალისწინებულია სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მნიშვნელოვანი ზრდა 1964 წელთან შედარებით.

სავაჭრო ორგანიზაციების მატერიალური ბაზის შემდგომი განმტკიცების მიზნით მიმდინარე წელთან შედარებით იზრდება სბიუჯეტო ასიგნობანი ვაჭრობის სამინისტროს საავჭრო-სასაწყობო ქსელსა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებზე კაპიტალური დაბანდებებისათვის.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცალკეული საავჭრო ორგანიზაციები არადამაკმაყოფილებელად ასრულებენ გეგმებს და მათს მუშაობაში სერიოზული ნაკლოვანებებია. მიმდინარე წლის ცხრა თვის საქონელბრუნვის გეგმა სახელმწიფო ვაჭრობამ შეასრულა 98 პროცენტით, ხოლო სამომხმარებლო კოოპერაციამ 96 პროცენტით.

როგორც სახელმწიფო ვაჭრობის, ისე ცეკავშირის სისტემაში განხორციელებული არ არის საკმაო ღონისძიებანი უველა საავჭრო ორგანიზაციის რენტაბელური მუშაობის უზრუნველსაყოფად. ზოგმა მათგანმა მიმდინარე წლის ცხრა თვეს სამეურნეო საქმიანობა ზარალით დაამთავრა. არის დაუგეგმავი დანაკარგებისა და უყაირათო ხარჯების გაწევის შემთხვევები.

ვაჭრობის სამინისტრომ, ცეკავშირის გამგეობამ და თვითეულმა საავჭრო ორგანიზაციამ ქმედითი ზომები უნდა მიიღონ საქონელბრუნვის გეგმების შესასრულებლად და მოსახლეობის მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საკავშირო მთავრობის დადგენილების საფუძველზე ამჟამად მიმდინარეობს ფასდაკლება სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის ქსელში არსებული ზოგიერთი სახის სამრეწველო საქონელზე, რაც სპეციალური მაღაზიებიდან გაიყიდება.

ვაჭრობის ორგანოებმა უნდა განახორციელონ საპირო ღონისძიებანი იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იქნას ამ დანიშნულებით გამოყოფილი თანხების მიზნობრივად და სწორად გამოყენება და ფასდაკლებული საქონლის რეალიზაცია.

სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დაფინანსება

სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის შესაბამისად იზრდება და ვითარდება სოციალურ-კულტურული დაწესებულებათა ქსელი და კონტინგენტი. ამის შესაბამისად იზრდება ასიგნობანი ბიუჯეტიდან.

საქართველოს სსრ 1965 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სოციალურ-კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია 496.258 ათასი მანეთი, რაც მიმდინარე წლის მოსალოდნელ ხარჯებს 68.294 ათასი მანეთით აღემატება.

ცალკე ღონისძიებების მიხედვით ეს ხარჯები გათვალისწინებულია:

	(ათას მანეთობით) 1964 წ.	1965 წ.
სახალხო განათლებასა და კადრების მომზადებაზე, მეცნიერების, კულტურის, ხელოვნების და რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის განვითარებაზე	220.058	263.280
ჯანმრთელობის დაცვაზე და ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაზე	99.140	117.678
მშრომელთა სახელმწიფო სოციალურ დაზღვევაზე, სოციალურ უზრუნველყოფასა და მრავალშვილიანი და მარტოხელა დედებისათვის დახმარების გაწევაზე	108.766	115.800

1965 წელს სოციალურ-კულტურული დაწესებულებების ახალი ინვენტარით შევსებაზე დაიხარჯება 10.338,4 ათასი მანეთი, ახალ მშენებლობაზე 25.895 ათასი მანეთი და შენობათა და ნაგებობათა კაპიტალურ რემონტზე 10.369,1 ათასი მანეთი.

ამხანაგო დეპუტატებო!

განათლების, ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის გადიდებასთან დაკავშირებით ასიგნობანი 1965 წლის ბიუჯეტით მნიშვნელოვნად გაზრდილია.

ხარჯები განათლების ღონისძიებებზე 1964 წლის მოსალოდნელ შესრულებასთან შედარებით 1965 წლის ბიუჯეტში იზრდება 43,2 მილიონი მანეთით.

გათვალისწინებულია სბავშვო დაწესებულებათა ქსელის გაფართოება. გაფართოვდება „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ქსელი და კონტინგენტი. დაწყებით, შვიდწლიან და საშუალო სკოლებში წლის მოსწავლეთა საერთო რაოდენობა 841 ათასი მოსწავლე, რომელთა შენახვაზე გათვალისწინებულია 99.860 ათასი მანეთი, სკოლა-ინტერნატებში გვეყოლება 23.000 აღსაზრდელი და მათ შენახვაზე დაიხარჯება 14.537 ათასი მანეთი. მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლებში კონტინგენტი გაიზრდება 6.000 კაცით.

უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში კლასების დატვირთვა ცალკეულ რაიონებსა და ქალაქებში კვლავ დაბალია. მიუხედავად ამისა, არის შემთხვევები, როცა ზედმეტად იხსნება კლასები.

კულტურის სახლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, ქოხ-სამკითხველოებ ი ს, მუზეუმებისა და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების შენახვაზე 1965 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 7.123,5 ათასი მანეთი. გარდა ამისა, ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა ასიგნობანი ამ დაწესებულებათა მუშაკების ხელფასის გასაადილებლად.

დიდი ყურადღება მიექცევა უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების შემდგომ განვითარებას. იზრდება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში მისაღები კონტინგენტი, განსაკუთრებით საინჟინრო-ტექნიკურ სპეციალობებზე. ამავე დროს ეფექტიანად ხდება ადგილობრივ ბიუჯეტებიდან 342 ადგილით, და წლის ბოლოს მიაღწევს 15.275 ადგილს. შესაბამისად იზრდება ამბულატორიული წესით ტუბერკულოზის საწინააღმდეგო ღონისძიებათა განხორციელების ხარჯები, უფასო მედიკამენტებზე ხარჯების გადიდებით. გაუმჯობესდება სამკურნალო-პროფილაქტიკური და სანიტარულ-ეპიდემიური სადგურების მომსახურება.

ამასთან საფინანსო ორგანოების მიერ ჩატარებული რევიზიებითა და შემოწმებებით გამოირკვა, რომ სამკურნალო დაწესებულებანი, განსაკუთრებით სოფლად, დაკომპლექტებული არ არიან საექიმო პერსონალით, ზოგან კი ვხედებით სშტატო ერთეულების ზედმეტობას. ცალკეულ სამკურნალო დაწესებულებებში დაცული არ არის კანონი საექიმო პერსონალის შეთავსების შესახებ.

საჭიროა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ მიიღოს ღონისძიებანი აღნიშნულ ნაკლოვანებათა აღსაკვეთად.

მშრომელთა სოციალურ დაზღვევასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე, ინვალიდთა შენახვაზე, მრავალშვილიან და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარებაზე გათვალისწინებულია ბიუჯეტიდან დაიხარჯოს 115.300 ათასი მანეთი. ეს თანხა მიმდინარე წლის მოსალოდნელ შესრულებას 6.534 ათასი, მანეთით აღემატება. გარდა ამისა, როგორც თქვენთვის ცნობილია, 1965 წლის 1 იანვრიდან პენსიებს მიიღებენ კოლმეურნეები, დადგენილი წესის თანახმად საკავშირო ცენტრალიზებული ფონდიდან, რომელიც იქმნება კოლმეურნეობათა აერთო შემოსავლიდან გადარიცხული თანხებისა და საკავშირო ბიუჯეტიდან გამოყოფილ ასიგნებების ხარჯზე.

• • •

სახელმწიფო მმართველობის ორგანოების შესანახი ხარჯები 1965 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია 16.865 ათასი მანეთის ოდენობით.

1964 წელს განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის სრულყოფისათვის. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს სამმართველო ხარჯების შემდგომი შემცირების შესაძლებლობა.

1965 წლის ბიუჯეტით სამმართველო აპარატის სრულყოფის ღონისძიებათა განხორციელებით გათვალისწინებულია ეკონომია 6.110 ათასი მანეთის ოდენობით. ეს ღონისძიებანი უნდა განხორციელდეს დიფერენცირებულად ცალკეული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების კონკრეტული პირობების გათვალისწინებით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მართვის პარალელური რგოლების ლიკვიდაციას, საწარმოთა ორგანიზაციული სტრუქტურის გაუმჯობესებას, მართვის აპარატის სამუშაოთა მექანიზაციას, ხელფასის ფონდის, სამოვლინებო ხარჯებისა და სხვა სახსრების სწორად და მომჭირნეობით ხარჯვას. მკაცრი კონტროლი უნდა დაწესდეს თანამდებობრივი განაკვეთების სწორად განსაზღვრაზე, და უნდა დასაჯონ ისინი, ვინც დაუშვებს საშტატო-სახარჯთაღრიცხვო დისციპლინის დარღვევას.

აღგილობრივი ბიუჯეტები

ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების ბიუჯეტების მოცულობა საქართველოს სსრ სახელმწიფო ბიუჯეტში 1965 წელს შეადგენს 355.022 ათას მანეთს. აქედან სოციალურ კულტურულ ღონისძიებებზე გათვალისწინებულია დაიხარჯოს 268.736 ათასი მანეთი, ანუ 58.343 ათასი მანეთით მეტი, მიმდინარე წლის ბიუჯეტთან შედარებით. კომუნალური და სანიტარო მეურნეობის, ვაჭრობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების დაფინანსებაზე დაიხარჯება 77.466 ათასი მანეთი, ანუ 11.292 ათასი მანეთით მეტი.

აღგილობრივი ბიუჯეტის პროექტი ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის, ქალაქების და რაიონების მიხედვით დარიგებული აქვთ დეპუტატებს გასაცნობად. როგორც ამ მასალებიდან ჩანს, ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 35.603 ათას მანეთს ნაცვლად 1964 წელს დამტკიცებული 28.992 ათასი მანეთისა, აჭარის ასსრ, — შესაბამისად 25.466 ათას მანეთს ნაცვლად 20.965 ათასი. მანეთისა, სამხრეთ-ოსეთის ა. ო. —11.364 ათას მანეთს ნაცვლად 9.294 ათასი მანეთისა, ქალაქ თბილისის — 91.983 ათას მანეთს ნაცვლად 74.833 ათასი მანეთისა და ქ. ქუთაისის — 13.093 ათას მანეთს ნაცვლად 10.953 ათასი მანეთისა.

აღგილობრივი ბიუჯეტების საერთო მოცულობაში დიდი ხვედრითი წონა აქვთ აგრეთვე ქ. რუსთავის, ქ. ფოთის, ბორნისის, გორდანის, გორის, ზუგდიდის, ახალქალაქის, წულუკიძის, ახალციხის, თეთრი წყაროს, ცხაკაიას, გეგეჭკორის, სიღნაღის, ყვარლის, მახარაძის, ზესტაფონის რაიონების ბიუჯეტებს.

უკანასკნელ წლებში სფინანსო ორგანოება სათანადო მუშაობას ეწევიან სბიუჯეტო-საფინანსო დისციპლინის დარღვევის და სახელმწიფო სახსრების არასწორად გამოყენების ფაქტების გამოვლენებისა და აღკვეთის საქმეში. მიუხედავად ამისა, ჩატარებული რევიზიებისა და შემოწმებების მასალებიდან ჩანს, რომ ჯერ კიდევ ვხედებით საფინანსო-საბიუჯეტო დისციპლინის დარღვევისა და სახელმწიფო სახსრების არასწორად გამოყენების ფაქტებს.

საჩჩერის, თელავის, გორდანის რაიონებისა და ქ. ქუთაისის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში გამოვლენებულია სბიუჯეტო სახსრების არაპირდაპირი დანიშნულებით გამოყენების ფაქტები, ხოლო გუდაუთის, ქობულეთის, გეგეჭკორის, ახალქალაქის რაიონებისა და ქ. ტყიბულის და კასპის ზოგიერთ დაწესებულებებს წლის ბოლოს მნიშვნელოვანი თანხები ჰქონდათ გადარიცხული სავაჭრო და სამეურნეო ორგანიზაციების ანგარიშებზე სათანადო ღირებულების საქონლის მიღებლად.

ბევრ რიგ რაიონებში დადგენილია მასწავლებელთა და მედიცინის მუშაკთა ხელფასის განაკვეთების არასწორად განაწილების შემთხვევები. მნიშვნელოვანი თანხებია უკანონოდ გაცემული პენსიების არასწორად დანიშვნის გამო, რაც ამით არის გამოწვეული, რომ პენსიის დასანიშნავად წარმოდგენილი საბუთები წინასწარ არ იყო ყურადღებით შემოწმებული. პენსიების არასწორად დანიშვნის ფაქტები დადგენილია ცაგერის, ამბროლაურის, სიღნაღის, ხაშურის, ქედის და სხვა რაიონებში, აგრეთვე ქალაქებში ბათუმში, ჯიათურაში, ფოთში, გორში და თბილისის რაიონების სოცუზრუნველყოფის განყოფილებებში. გამოვლენებულია ფულადი სახსრების დანაკლისი გარდაბნის და ზოგიერთი სხვა რაიონის სასოფლო საბჭოებში.

პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის ორგანოები საბჭოთა საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობით სერიოზულ მუშაობას ეწევიან სახელმწიფო და საფინანსო დისციპლინის განმტკიცებისა და შიდასამეურნეო რეზერვების მობილიზაციისათვის, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს სახელმწიფო ბიუჯეტის წარმატებით შესრულებას.

მიუხედავად მუშაობის ერთგვარი გაუმჯობესებისა, ჯერ კიდევ ვხედებით მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივი სამმართველოებისა და ტრესტების, აგრეთვე სამინისტროებისა და უწყებების შიდასაუწყებო კონტროლის მუშაობაში.

მთელ რიგ შემთხვევებში დაქვემდებარებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებში ჩატარებული რევიზიები და შემოწმებები დაბალი ხარისხისაა და ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის გამო დროულად არ ხდება ბიოროტმოქმედებათა და სხვა დარღვევათა ფაქტების გამოვლინება და ზომების მიღება.

სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამინისტროებმა, უწყებებმა ხელმძღვანელებმა და საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა ქმედითი ზომები უნდა მიიღონ საეწყვნო კონტროლის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ საქართველოს სსრ ხელმძღვანელი ორგანოების დადგენილების შესრულებისათვის.

ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უმრავლესობა სათანადო ყურადღებით ეკიდება საბიუჯეტო მუშაობის გაუმჯობესებისა და ბიუჯეტის შედგენასა და შესრულებაში აღრე არსებულ ნაკლოვანებათა გამოსწორების საქმეს, მაგრამ ზოგიერთ რაიონსა და ქალაქში ჯერ კიდევ გვხვდება ნაკლოვანებანი შემოსავლისა და ხარჯების განსაზღვრის, მათი ბიუჯეტებს შორის განაწილების და ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცების საქმეში, რაც გამოსწორებულ უნდა იქნას. საფინანსო ორგანოებმა საჭირო ღონისძიებები უნდა განახორციელონ ამ მიმართულებით.

ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებლმა კომიტეტებმა, სახალხო მეურნეობის საბჭოს დარგობრივმა სამმართველოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა ხელმძღვანელებმა ყურადღება უნდა მიიქციონ ბიუჯეტებიდან ასიგნებული ნაკლებ ეფექტიანად ხარჯვის ფაქტებზე. ეს ფაქტები ადასტურებენ, რომ ადგილობრივ ბიუჯეტებიდან ასიგნებული ფულადი სახსრების ნაწილი ეფექტიანად ხარჯავენ